

**ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს
კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული
ანგარიში**

შპს „დიპლომატ ჯორჯიას“ ხელმძღვანელობასა და პარტნიორებს,

ჩვენ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2021 წლის 25 თებერვალს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩაგვიტარებია წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

ანა კუსრაშვილი

შპს „იუაის“ სახელით

2021 წლის 17 სექტემბერი

**ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს
კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული
ანგარიში**

შპს „დიპლომატ ჯორჯიას“ ხელმძღვანელობასა და პარტნიორებს,

ჩვენ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2021 წლის 25 თებერვალს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩავვითარებთ წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.



ანა კუსრაშვილი

შპს „იუაის“ სახელით

2021 წლის 17 სექტემბერი

შპს დიპლომატ ჯორჯია

მმართველობითი ანგარიშგება

კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა

2020

1. საწარმოს ბიზნეს განვითარება, შედეგები და პოზიცია:


შპს დიპლომატ ჯორჯია (შემდგომში კომპანია) დაარსდა 2008 წლის ივნისში და მდებარეობს საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო, რომელიც ჩამოყალიბდა საქართველოს რეგულაციების მიხედვით და რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით 204557121.

კომპანიის უშუალო მშობელი კომპანია და 100%-ს მფლობელი არის დიპლომატ დისტრიბუტორი (1968), ისრაელის შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია. დიპლომატ დისტრიბუტორის (1968) საბოლოო მშობელი კომპანია არის შპს „რამონ კოსმეტიკ“ ჰოლდინგია. 2021 წელს შპს „რამონ კოსმეტიკ“ ჰოლდინგის სახელი შეიცვალა და გახდა შპს დიპლომატ ჰოლდინგი.


კომპანიის ძირითადი საქმიანობა სილამაზის, საყოფაცხოვრებო და ჯანმრთელობის დაცვის პროდუქციის დისტრიბუცია და გაყიდვაა. კომპანია Procter and Gamble-ს (P&G) და Nestle-ს პროდუქციის ექსკლუზიური და ოფიციალური დისტრიბუტორია საქართველოში.

შპს დიპლომატ ჯორჯია ახდენს როგორც იმპორტირებულ, ასევე ადგილობრივი პროდუქციის დისტრიბუციას.

ქვემოთ მოცემულია პროდუქციის შესყიდვების წილი 2020 წლისთვის, ძირითადი პროდუქციის დანაყოფებით:




ქვემოთ მოცემულია პროდუქციის შესყიდვების წილი 2020 წლისთვის, პროდუქციის წარმომავლობის მიხედვით:



Nestle ითვლება იმპორტიორ მომწოდებლად, მიუხედავად იმისა რომ კომპანია ფუნქციონირებს ადგილობრივი საწარმოს მეშვეობით.

ქვემოთ მოცემულია შემოსავლები გაყიდვებიდან ბრენდის კატეგორიების მიხედვით:



რაოდენობები გამოსახულია ათას ლარში

2. შპს დიპლომატ ჯორჯიას სამომავლო განვითარების გეგმები:

შპს დიპლომატ ჯორჯია საქართველოში ერთ-ერთი წამყვანი დისტრიბუტორი კომპანიაა. კომპანიას სამომავლოდ განვითარების ამბიციური გეგმები აქვს. კომპანია ორიენტირებულია მოძებნოს ახალი მომწოდებლები, ახალი კლიენტები და ახალი შესაძლებლობები ყოველდღიურ რეჟიმში. კომპანიის ძირითადი მიზანია ჰქონდეს პროდუქციის დივერსიფიცირებული პორტფელი.

შპს დიპლომატ ჯორჯიას 2020 წლისთვის აქვს თავისი ხედვა და სტრატეგია.

კომპანიის მიზანია განავითაროს კლიენტის ღირებულება და მიწოდების ქსელი, რათა გახდეს კლიენტის სასურველი არჩევანი.

კომპანიას სურს მოახდინოს გარღვევა გაყიდვებსა და დისტრიბუციაში, რათა გახდეს მსოფლიო ბაზრის FMCG მთავარი მოთამაშე.

შპს დიპლომატ ჯორჯიას სამი ძირითადი ამოცანა აქვს დასახული ზემოთხსენებული მიზნებისა და ხედვის მისაღწევად:

- ა) იყოს კლიენტზე ორიენტირებული კომპანია
- ბ) განავითაროს ახალი ბიზნესი
- გ) ოპერაციული ეფექტურობა

3. საწარმოს მიერ წარმოებული კვლევისა და განვითარების მიმოხილვა: :

2020 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევით და განვითარების საქმიანობაში. .

4. ინფორმაცია ფილიალებზე

შპს დიპლომატ ჯორჯიას ფილიალები აქვს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში და ოპერაციულ საქმიანობას ეწევა საქართველოს ტერიტორიაზე. Pacter&Gamble და Nestle-ს პროდუქციასთან ერთად, კომპანია სხვა კვების და სასმელ პროდუქციას უკეთებს დისტრიბუციას.

დისტრიბუციის ძირითადი ცენტრი განთავსებულია თბილისის გარეუბანში. დამატებით, კომპანიას აქვს შედარებით მცირე სადისტრიბუციო ცენტრი თბილისის ღია ბაზრის ტერიტორიაზე. საქართველოს დასავლეთ ნაწილში, სამტრედიიაში, კიდევ ერთი უდიდესი საწყობი/დისტრიბუციის ცენტრი მდებარეობს. კომპანიას ასევე აქვს პატარა გაყიდვების ოფისები ბათუმში, გორსა და თელავში.

5. მთავარი ფინანსური და არა-ფინანსური ინდიკატორები

ქვემოთ მოცემულია მთავარი ფინანსური და არა-ფინანსური ინდიკატორები. თანხები მოცემულია ათას ლარში.

#	ფინანსური ინდიკატორები	2020	2019	შეუსაბამოების განმარტება
1	ამონაგები	185,762	211,536	შემცირება ძირითადად გამოწვეულია „ზედაზენთან“ კონტრაქტის გაუქმებით.
2	გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(137,801)	(159,907)	გაყიდული საქონლის თვითღირებულება შემცირდა გაყიდვების შემცირებასთან ერთად.
3	მთლიანი მოგება	25.8%	24.4%	1.4%-იანი ზრდა გამოწვეულია „ზედაზენთან“ კონტრაქტის გაუქმებით და ვენდორებისგან მიღებული დამატებითი ფასდათმობებით
4	წმინდა შემოსავალი	(3,947)	1,064	ცვლილების ძირითადი მიზეზია ქართული ლარის დევალვაცია ევროს ვალუტის მიმართ, რის შედეგადაც იზრდება წმინდა სავალუტო ზარალი (5.4 მილიონი) და ფინანსური ხარჯები.
5	სულ აქტივები	92,841	110,434	ძირითადი შემცირება გამოწვეულია ძირითადი საშუალებების, მარაგებისა და დებიტორული დავალიანების შემცირებით.
6	სულ ვალდებულებები	68,452	82,098	სესხები შემცირებულია 4,6 მილიონი ლარით, ხოლო ვალდებულებები კრედიტორების მიმართ - 8 მილიონი ლარით.

მთავარი არა-ფინანსური ინდიკატორების ანალიზი:

#	არაფინანსური ინდიკატორები	2020	2019	კომენტარი
1	თანამშრომლების რაოდენობა	702	897	კლება გამოწვეულია „ზედაზენთან“ კონტრაქტის გაუქმებით.

6. საკუთარი აქციების შეძენის დეტალური ინფორმაცია

2020 წელს არ მომხდარა საკუთარი აქციების შეძენა.

2021 წელს, შპს დიპლომატ ჰოლდინგი დარეგისტრირდა თელავის საფონდო ბირჟაზე.

7. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხების დამატებითი განმარტებები

ქვემოთ მოცემულია განმარტებები ფინანსურ და არა-ფინანსურ ინდიკატორებში ცვლილებების შესახებ:

ამონაგები – შემცირება ძირითადად გამოწვეულია „ზედაზენთან“ სადისტრიბუციო ოპერაციების შეჩერებით და ასევე კოვიდ-19-ით გამოწვეული გაყიდვების მოცულობის შემცირებით. გაუმჯობესდა Nestle-ს განყოფილების გაყიდვები და კომპანიამ დაიწყო ახალი ბრენდის - კულას დისტრიბუცია.

წმინდა მოგება – ცვლილების ძირითადი მიზეზია ქართული ლარის დევალვაცია ევროს ვალუტის მიმართ, რის შედეგადაც გაიზარდა წმინდა სავალუტო ზარალი (2020: 5.4 მილიონი ლარი, 2019: 1.4 მილიონი ლარი) და ფინანსური ხარჯების ზრდა.

8. საწარმოს საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის, ფულადი ნაკადებისა და განუსაზღვრელობების ფინანსური რისკების მართვის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულია კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობისა და ფულადი ნაკადების რისკები, მექანიზმები რისკის მენეჯმენტისთვის და კომპანიის მიზანი და პოლიტიკა ფინანსური რისკების მართვის კუთხით.

მთავარი რისკები და განუსაზღვრელობები დაკავშირებულია შემდეგთან:

	რისკისა და განუსაზღვრელობების განმარტება	ხელმძღვანელობის პასუხი
1	სავალუტო რისკი – კომპანიას გააჩნია შემდეგი სავალუტო რისკი: ადგილობრივი ვალუტის გაუფასურება გამოიწვევს შემდგომ ინფლაციის მაჩვენებლის გაზრდას რაც შედეგად გამოიწვევს მომხმარებლის მსყიდველობითი უნარის შემცირებას; ასევე კომპანიას აქვს სესხი ევროში;	კომპანია ცდილობს ადგილობრივი წარმოების და უცხოური ბრენდების არსებული პორტფელის გამრავალფეროვნებას, სავალუტო რისკის მინიმუმამდე დასაყვანად. გარდა ამისა, კომპანია ასევე აკეთებს საკრედიტო წყაროს დივერსიფიკაციას ადგილობრივი ბანკებიდან და მშობელი კომპანიიდან – რისკის შემცირების მიზნით.
2	ფულადი ნაკადების რისკი – კომპანიის შემოსავალი ქართულ ლარშია, მაშინ, როდესაც დაფინანსების ნაწილი ევროშია; კომპანია მის კლიენტებს უფრო მეტ საკრედიტო დღეებს აძლევს ვიდრე თვითონ ღებულობს მისი მიმწოდებლებისგან.	კომპანია ახორციელებს ყოველდღიურ მიმოხილვას ფულის ნაკადების პოზიციისაზე, რათა გამოავლინოს ნებისმიერი პრობლემური საკითხი. ვინაიდან კომპანია გლობალური ჯგუფის შვილობილია, დაფინანსების მოპოვება არ წარმოადგენს პრობლემას, რადგან მშობელ კომპანიას შეუძლია დააკმაყოფილოს შპს დიპლომატ ჯორჯიას ნებისმიერი დაფინანსების მოთხოვნა. თუმცა, კომპანია ასევე იყენებს ადგილობრივი ბანკების საკრედიტო პროდუქტებს.

COVID-19 თან დაკავშირებული რისკები

კორონავირუსის პანდემიის (COVID-19) ბოლო დროს განვითარებული მოვლენების გამო, მრავალმა ქვეყანამ, მათ შორის საქართველომ, საკარანტინო ღონისძიებები გაატარა, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა ბაზრის მონაწილეთა ბიზნეს საქმიანობების დონესა და მასშტაბებზე. მოსალოდნელია, რომ თავად პანდემიამ და მისი შედეგების შესუსტებისთვის გატარებულმა ღონისძიებებმა იმოქმედონ სხვადასხვა მრეწველობაში მოღვაწე კომპანიების საქმიანობებზე. კომპანია პანდემიას აფასებს როგორც არაკორექტირებად მოვლენას ანგარიშგების პერიოდის შემდეგ, რომლის რაოდენობრივი გავლენა მოცემული მომენტისთვის ვერ შეფასდება ნდობის სათანადო ხარისხით.

მიუხედავად იმისა, რომ კორონავირუსის გავრცელებას ჯერ არ უმოქმედია კომპანიის ოპერაციებზე, 2020 წლის მარტის შემდეგ მნიშვნელოვანი არასტაბილურობა დაფიქსირდა საფონდო, საქონლის და ვალუტის ბაზრებზე. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში COVID-19-ის გავრცელების რამოდენიმე ტალღის გარდა აღინიშნება ვირუსის განსხვავებული შტამის გავრცელებაც, შესაბამისად განუსაზღვრელობის მაღალი დონის გამო, ეკონომიკასა და კომპანიის საქმიანობაზე მისი ფაქტობრივი გავლენის შეფასება რთულია.

თამარ კოვზირიძე

გენერალური მენეჯერი

ელენე ქობულაშვილი

ფინანსური ოპერაციების მენეჯერი

კომპანიის ბეჭედი

17 სექტემბერი 2021

8. საწარმოს საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის, ფულადი ნაკადებისა და განუსაზღვრელობების ფინანსური რისკების მართვის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულია კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობისა და ფულადი ნაკადების რისკები, მექანიზმები რისკის მენეჯმენტისთვის და კომპანიის მიზანი და პოლიტიკა ფინანსური რისკების მართვის კუთხით.

მთავარი რისკები და განუსაზღვრელობები დაკავშირებულია შემდეგთან:

რისკისა და განუსაზღვრელობების განმარტება	ხელმძღვანელობის პასუხი
1. სავალუტო რისკი – კომპანიას გააჩნია შემდეგი სავალუტო რისკი: ადგილობრივი ვალუტის გაუფასურება გამოიწვევს შემდგომ ინფლაციის მაჩვენებლის გაზრდას რაც შედეგად გამოიწვევს მომხმარებლის მსყიდველობითი უნარის შემცირებას; ასევე კომპანიას აქვს სესხი ევროში;	კომპანია ცდილობს ადგილობრივი წარმოების და უცხოური ბრენდების არსებული პორტფელის გამრავალფეროვნებას, სავალუტო რისკის მინიმუმამდე დასაყვანად. გარდა ამისა, კომპანია ასევე აკეთებს საკრედიტო წყაროს დივერსიფიკაციას ადგილობრივი ბანკებიდან და მშობელი კომპანიიდან - რისკის შემცირების მიზნით.
2. ფულადი ნაკადების რისკი – კომპანიის შემოსავალი ქართულ ლარშია, მაშინ, როდესაც დაფინანსების ნაწილი ევროშია; კომპანია მის კლიენტებს უფრო მეტ საკრედიტო დღეებს აძლევს ვიდრე თვითონ ღებულობს მისი მიმწოდებლებისგან.	კომპანია ახორციელებს ყოველდღიურ მიმოხილვას ფულის ნაკადების პოზიციებზე, რათა გამოავლინოს ნებისმიერი პრობლემური საკითხი. ვინაიდან კომპანია გლობალური ჯგუფის შვილობილია, დაფინანსების მოპოვება არ წარმოადგენს პრობლემას, რადგან მშობელ კომპანიას შეუძლია დააკმაყოფილოს შპს დიპლომატ ჯორჯიას ნებისმიერი დაფინანსების მოთხოვნა. თუმცა, კომპანია ასევე იყენებს ადგილობრივი ბანკების საკრედიტო პროდუქტებს.

COVID-19 თან დაკავშირებული რისკები

კორონავირუსის პანდემიის (COVID-19) ბოლო დროს განვითარებული მოვლენების გამო, მრავალმა ქვეყანამ, მათ შორის საქართველომ, საკარანტინო ღონისძიებები გაატარა, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა ბაზრის მონაწილეთა ბიზნეს საქმიანობების დონესა და მასშტაბებზე. მოსალოდნელია, რომ თავად პანდემიამ და მისი შედეგების შესუსტებისთვის გატარებულმა ღონისძიებებმა იმოქმედონ სხვადასხვა მრეწველობაში მოღვაწე კომპანიების საქმიანობებზე. კომპანია პანდემიას აფასებს როგორც არაკორექტირებად მოვლენას ანგარიშგების პერიოდის შემდეგ, რომლის რაოდენობრივი გავლენა მოცემული მომენტისთვის ვერ შეფასდება ნდობის სათანადო ხარისხით.

მიუხედავად იმისა, რომ კორონავირუსის გავრცელებას ჯერ არ უმოქმედია კომპანიის ოპერაციებზე, 2020 წლის მარტის შემდეგ მნიშვნელოვანი არასტაბილურობა დაფიქსირდა საფონდო, საქონლის და ვალუტის ბაზრებზე. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში COVID-19-ის გავრცელების რამოდენიმე ტალღის გარდა აღინიშნება ვირუსის განსხვავებული შტამის გავრცელებაც, შესაბამისად განუსაზღვრელობის მაღალი დონის გამო, ეკონომიკასა და კომპანიის საქმიანობაზე მისი ფაქტობრივი გავლენის შეფასება რთულია.

თამარ კოვზირიძე

გენერალური მენეჯერი



ელენე ქობულაშვილი

ფინანსური ოპერაციების მენეჯერი

კომპანიის ბეჭედი

17 სექტემბერი 2021



ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება

*2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ	5
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა.....	5
3. ძირითადი საშუალებები.....	24
4. არამატერიალური აქტივები.....	25
5. სხვა გრძელვადიანი აქტივები.....	25
6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები	26
7. სავაჭრო დებიტორული დავალიანება.....	26
8. სხვა მიმდინარე აქტივები	28
9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	28
10. საწესდებო კაპიტალი	28
11. ნასესხები სახსრები.....	28
12. სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	30
13. სხვა მიმდინარე ვალდებულებები	30
14. პირობითი ვალდებულებები.....	31
15. შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	32
16. გაყიდული საქონლის თვითღირებულება.....	32
17. სასაწყობო, ლოგისტიკური და დისტრიბუციის ხარჯები.....	32
18. რეალიზაციის და მარკეტინგის დანახარჯები.....	32
19. ზოგადი და ადმინისტრაციული დანახარჯები.....	33
20. სხვა საოპერაციო შემოსავალი	33
21. ფინანსური რისკის მართვა.....	33
22. სამართლიანი ღირებულებები	38
23. ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	38
24. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი.....	39
25. შემდგომი მოვლენები	39

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „დიპლომატ ჯორჯიას“ მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „დიპლომატ ჯორჯიას“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები „პროფესიონალი ბუღალტრებისთვის ეთიკის საერთაშორისო კოდექსის“ (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) („IESBA კოდექსი“) შესაბამისად და შესრულებული გვაქვს ამ მოთხოვნებით და IESBA კოდექსით გათვალისწინებული ჩვენი სხვა ეთიკური მოვალეობებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია ასახულია კომპანიის 2020 წლის მმართველობით ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაცია გულისხმობს კომპანიის 2020 წლის მმართველობით ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. კომპანიის 2020 წლის მმართველობითი ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი სავარაუდოდ გახდება წინამდებარე აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება მთლიანად არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და მასთან დაკავშირებით ჩვენ არც ახლა და არც მომავალში გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ ჩვენს ანგარიშში.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ სხვა ინფორმაცია და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს აქვს თუ არა კომპანიას უნარი, რომ საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს სხვა რეალური ალტერნატივა.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის მეთვალყურეობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებს კლიენტების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება საბაზისო გარიგებებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

ჩვენ მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვ საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

ანა კუსრაშვილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

25 თებერვალი, 2021 წ.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(ათას ლარში)

		31 დეკემბერი, 2019 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.	გადაანგარიშებული (2.5 შენიშვნა)
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	18,803	21,580	
არამატერიალური აქტივები	4	1,149	1,448	
სხვა გრძელვადიანი აქტივები	5	457	827	
სულ გრძელვადიანი აქტივები		20,409	23,855	
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	6	20,633	25,130	
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	7	39,336	41,669	
სხვა მიმდინარე აქტივები	8	10,941	19,398	
სასესხო მოთხოვნები		585	–	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	937	382	
სულ მიმდინარე აქტივები		72,432	86,579	
სულ აქტივები		92,841	110,434	
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	10	1	1	
გაუნაწილებელი მოგება		24,388	28,335	
სულ საკუთარი კაპიტალი		24,389	28,336	
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები	11	10,452	16,186	
საიჯარო ვალდებულებების გრძელვადიანი ნაწილი		1,166	1,908	
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		11,618	18,094	
მიმდინარე ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები	11	38,062	36,922	
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	12	13,155	23,858	
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	13	5,617	3,224	
სულ მიმდინარე ვალდებულებები		56,834	64,004	
სულ ვალდებულებები		68,452	82,098	
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		92,841	110,434	

ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 25 თებერვალს:

თამარ კოვზირიძე
გენერალური დირექტორი

გაი თალ
ფინანსური დირექტორი

5-39 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული			
ხელშეკრულებებიდან	15	185,762	211,536
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	16	(137,801)	(159,907)
საერთო მოგება		47,961	51,629
სასაწყობო, ლოგისტიკური და დისტრიბუციის ხარჯები	17	(8,297)	(10,807)
რეალიზაციის და მარკეტინგის დანახარჯები	18	(18,493)	(19,771)
ზოგადი და ადმინისტრაციული დანახარჯები	19	(15,976)	(15,694)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	20	584	750
საოპერაციო მოგება		5,779	6,107
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი		97	38
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	11	(4,408)	(3,703)
წმინდა საკუროსო ზარალი		(5,415)	(1,378)
(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(3,947)	1,064
მოგების გადასახადის ხარჯი		–	–
წლის (ზარალი)/მოგება		(3,947)	1,064
სხვა სრული შემოსავალი		–	–
წლის მთლიანი სრული (ზარალი)/შემოსავალი		(3,947)	1,064

5-39 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

(ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1	27,271	27,272
წმინდა მოგება	–	1,064	1,064
წლის სრული შემოსავალი	–	1,064	1,064
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1	28,335	28,336
წმინდა მოგება	–	(3,947)	(3,947)
წლის სრული შემოსავალი	–	(3,947)	(3,947)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1	24,388	24,389

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
საოპერაციო საქმიანობა			
(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადით დაბეგრამდე		(3,947)	1,064
<i>კორექტირებები დასაბეგრი მოგების წმინდა ფულად ნაკადებთან შეჯერების მიზნით:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია	3, 4	6,042	6,014
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული შემოსულობა		(556)	(508)
წმინდა საკუროსო ზარალი		5,415	1,390
დაზიანებული და ვადაგასული საქონლის ჩამოწერა		1,366	310
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	11	4,408	3,703
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი		(97)	–
დარიცხული გამოუყენებელი შვებულებები		66	203
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	7	841	446
		13,538	12,622
ცვლილება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში		3,131	(8,907)
ცვლილება სავაჭრო დებიტორულ დავალიანებაში და სხვა მიმდინარე აქტივებში		9,949	(10,914)
ცვლილება სავაჭრო კრედიტორულ დავალიანებაში და სხვა მიმდინარე ვალდებულებებში		(8,934)	10,787
ცვლილება სხვა გრძელვადიან აქტივებში		370	370
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში		4,516	(8,664)
გადახდილი პროცენტი		(4,525)	(3,189)
მიღებული პროცენტი		97	–
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		13,626	769
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(2,434)	(9,866)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(27)	(58)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი		2,590	2,716
გაცემული სესხები		(585)	–
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(456)	(7,208)
ფინანსური საქმიანობა			
აღებული სესხები	11	159,428	195,815
ნასესხები სახსრების დაფარვა	11	(168,612)	(190,475)
საიჯარო ვალდებულებების ძირითადი ნაწილი		(2,626)	–
(ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული) / ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		(11,810)	5,340
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(805)	(478)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)		555	(1,577)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით	9	382	1,959
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით	9	937	382

5-39 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერი

(ათას ლარში)

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „დიპლომატ ჯორჯია“ (შემდგომში – „კომპანია“), საიდენტიფიკაციო ნომერი 204557121, არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2008 წლის 17 ივნისს დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის: საქართველო, 0109, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ჩანტლაძის ქ. I შეს. 10.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის კოსმეტიკური, საყოფაცხოვრებო და ჰიგიენური საშუალებების დისტრიბუცია და რეალიზაცია საბითუმო ვაჭრობის დამოუკიდებელი ქსელის მეშვეობით. კომპანია არის პროექტერ ენდ გეშლის (P&G) და ნესტლეს პროდუქტების ექსკლუზიური და ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში. P&G-ის და ნესტლეს პროდუქტების გარდა, კომპანია ასევე ახდენს სხვა საკვები და სასმელი პროდუქტების, მათ შორის ადგილობრივი ბრენდების, დისტრიბუციას.

კომპანიის უშუალო მშობელი კომპანია და მისი 100%-იანი წილის მფლობელი არის ისრაელში მდებარე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დიპლომატ დისტრიბუტორს“ (1968) (შემდგომში – „მშობელი კომპანია“). კომპანიის საბოლოო მშობელი კომპანია არის შპს „რამონ კოსმეტიკს (ჰოლდინგს)“ (შემდგომში – „საბოლოო მშობელი კომპანია“).

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ჯერ არ დამტკიცებულა მფლობელების მიერ. აქციონერებს შეუძლიათ ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილებების შეტანა გამოშვების შემდეგ.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. მომზადების საფუძველი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების აღრიცხვის წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც განხილულია სააღრიცხვო პოლიტიკაში ქვემოთ.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ათას ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვა რამეა მითითებული.

2.2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ა) შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება დროის იმ მომენტში, როდესაც საქონელზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს, როგორც წესი, საქონლის მიწოდებისთანავე. კომპანია მომხმარებლისთვის მიცემული პირობის ხასიათის შეფასებით განსაზღვრავს, ამ გარიგებებში პრინციპალია თუ აგენტი. კომპანია არის პრინციპალი და შემოსავალს ბრუტოს საფუძველზე აღრიცხავს, თუ ის აკონტროლებს დაპირებულ საქონელს მომხმარებლისთვის მის გადაცემამდე. კომპანიამ დაასკვნა, რომ შემოსავალთან დაკავშირებულ გარიგებებში პრინციპალის სახით გამოდის, ვინაიდან, როგორც წესი, საქონელს თვითონ აკონტროლებს მომხმარებლებისთვის გადაცემამდე. კრედიტის სტანდარტული ვადა საქონლის მიწოდებიდან 14-65 დღეა.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საქონლის აღიარება პროდუქციის გაყიდვასთან დაკავშირებით ხდება იმისდა მიხედვით, თუ რა ოდენობის ანაზღაურების მიღებას მოელის კომპანია ამ საქონლის სანაცვლოდ. საქონლის გაყიდვის გარიგების ფასის განსაზღვრისას კომპანია ითვალისწინებს ცვალებადი ანაზღაურების ეფექტს, დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტის არსებობას და მომხმარებლისთვის გადასახდელი თანხის ოდენობას (როგორცაა სავაჭრო ადგილის გადასახადი, მომხმარებლისთვის კომპანიის საქონლის მაღაზიის თაროებზე გამოფენისთვის გადახდილი თანხა), ასეთის არსებობის შემთხვევაში.

პროდუქციის კონსიგნაციით გაყიდვის დროს, შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი გადაეცემა საბოლოო მომხმარებელს, ან გარკვეული ვადის გასვლისას, რომლის განმავლობაშიც საცალო მოვაჭრეს შეუძლია გაუყიდავი საქონლის დაბრუნება.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, რომლის განმავლობაშიც გაიწია ეს მომსახურება. ფიქსირებული ფასის მქონე ხელშეკრულებების შემთხვევაში, შემოსავლის აღიარებისას მიეთითება, მთლიანი გასაწევი მომსახურების რა წილს შეადგენს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ფაქტობრივად გაწეული მომსახურება, ვინაიდან მომხმარებელი.

ერთდროულად იღებს და იყენებს სარგებელს. ეს განისაზღვრება ამოსავალი მონაცემების მეთოდების საფუძველზე, რომლებითაც ფასდება საწარმოს მიერ შესასრულებელი მოვალეობის პირობის სრულად დაკმაყოფილებისკენ გადადგმული ნაბიჯები. თუ ხელშეკრულება შეიცავს ერთზე მეტ შესასრულებელ მოვალეობას, გარიგების ფასი თითოეულ მოვალეობაზე ნაწილდება ინდივიდუალური სარეალიზაციო ფასების მიხედვით.

ცვალებადი ანაზღაურება

თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება ცვალებად თანხასაც შეიცავს, კომპანია გამოითვლის ანაზღაურების თანხას, რომლის მიღების უფლებაც ექნება მომხმარებლისთვის საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. ცვალებადი ანაზღაურება განისაზღვრება კონტრაქტის გაფორმებისას და შეზღუდულია, ვიდრე არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ შემოსავლის მნიშვნელოვანი შემოზღუდვები აღიარებული ერთობლივი შემოსავლის ოდენობით არ მოხდება, როდესაც შესაბამის ცვალებად ანაზღაურებასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობა საბოლოოდ აღმოიფხვრება. საქონლის გაყიდვის ზოგიერთი ხელშეკრულება მომხმარებელს ანიჭებს საქონლის დაბრუნების უფლებას და საბითუმო ფასდაკლებას. საქონლის დაბრუნების უფლება და საბითუმო ფასდაკლება წარმოშობს ცვალებად ანაზღაურებას.

დაბრუნების უფლება

გარკვეული ხელშეკრულებები მომხმარებელს უფლებას აძლევს, გარკვეული პერიოდის განმავლობაში უკან დააბრუნოს საქონელი. კომპანია მოსალოდნელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით აფასებს, რა საქონელი დაბრუნდება, რადგან ეს მეთოდი ყველაზე ზუსტად პროგნოზირებს ცვლადი ანაზღაურების ოდენობას, რომელსაც კომპანია მიიღებს. კომპანიის ვალდებულება, დაიბრუნოს ვადაგასული პროდუქტები, აღიარებულია ანარიცხების სახით. თანხის დაბრუნების ვალდებულების აღიარება ხდება იმ საქონლის შემთხვევაში, რომელთა დაბრუნება მოსალოდნელია (ანუ თანხა არ არის ასახული გარიგების ფასში). დაბრუნების უფლების აქტივის (და გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში შესაბამისი კორექტირების) აღიარება ასევე ხდება მომხმარებლისგან საქონლის ამოღების უფლების შემთხვევაშიც. კომპანია მოელის, რომ დაბრუნების ვალდებულებები და დაბრუნების აქტივები არ არის არსებითი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის და ამიტომ არ შეუქმნია შესაბამისი რეზერვები.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საბითუმო ფასდაკლება

კომპანია გარკვეულ მომხმარებლებს სთავაზობს რეტროსპექტულ საბითუმო ფასდაკლებებს, როდესაც პერიოდის განმავლობაში შესყიდული პროდუქციის რაოდენობა აღემატება ხელშეკრულებაში მითითებულ ზღვარს. ფასდაკლების ოდენობა გამოიქვითება მომხმარებლის მიერ გადასახდელი თანხებიდან. მოსალოდნელი სამომავლო ფასჩამოკლებების გამო ცვლადი ანაზღაურების შესაფასებლად კომპანია იყენებს ყველაზე უფრო სავარაუდო თანხის მეთოდს რამდენიმე ზღვრული მოცულობის მქონე ხელშეკრულებებისთვის და მოსალოდნელი ღირებულების მეთოდს ერთზე მეტი ზღვრული მოცულობის მქონე ხელშეკრულებებისთვის. იმ მეთოდის შერჩევა, რომელიც ყველაზე უკეთ მოახდენს ცვალებადი ანაზღაურების პროგნოზირებას, ძირითადად დამოკიდებულია ხელშეკრულებაში ზღვრული მოცულობების რაოდენობაზე. კომპანია შემდეგ ეყრდნობა ცვალებადი ანაზღაურების სავარაუდო შემზღუდველ ფაქტორებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს და აღიარებს თანხის დაბრუნების ვალდებულებას მოსალოდნელი სამომავლო ფასდაკლებებისთვის.

დაფინანსების კომპონენტები

კომპანიის მოლოდინით, მას არ ექნება ისეთი ხელშეკრულებები, რომელთა მიხედვითაც, დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემასა და მომხმარებლის მიერ გადახდას შორის ვადა აღემატება ერთ წელს. ამის შედეგად, კომპანია არ აკორექტირებს გარიგების ფასებს ფულის დროითი ღირებულების გასათვალისწინებლად.

სახელშეკრულებო ნაშთები

სავაჭრო დებიტორული დავალიანება

დებიტორული დავალიანება წარმოადგენს კომპანიის უფლებას უპირობო საზღაურის თანხაზე (ანუ მხოლოდ დროის გასვლაა აუცილებელი საზღაურის გადახდის თარიღის დადგომამდე).

სახელშეკრულებო ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულება არის მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების გაცემის ვალდებულება, რომლის ღირებულებაც კომპანიას მომხმარებლისგან მიღებული (ან მისაღები) აქვს. თუ მომხმარებელი ღირებულებას გადაიხდის კომპანიისგან საქონლის ან მომსახურების მიღებამდე, მაშინ ხდება სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება, როდესაც ხდება გადახდა ან წარმოშობა გადახდის ვალდებულება (რომელიც უფრო ადრე დგება). სახელშეკრულებო ვალდებულებების აღიარება ხდება შემოსავლად მაშინ, როდესაც კომპანია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ბ) გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადი

მოგების გადასახადით დაიბეგრება იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც იანგარიშება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება, როგორც სხვა გადასახადები სრული შემოსავლის ანგარიშგების ადმინისტრაციულ ხარჯებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი („დღგ“)

შემოსავალი, ხარჯები და აქტივები აღირიცხება ბრუნვიდან გადასახადის გამოკლებით, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- ▶ როდესაც შეუძლებელია ბრუნვიდან გადასახადის, რომლის ვალდებულებაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვისას წარმოიშობა, დაბრუნება საგადასახადო ორგანოებიდან, ამ შემთხვევაში ხდება ბრუნვიდან გადასახადის აღიარება აქტივის შესყიდვის ხარჯის ნაწილად ან ხარჯების მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- ▶ როდესაც დებიტორული და კრედიტორული დავალიანების აღრიცხული ოდენობა შეიცავს ბრუნვიდან გადასახადს.

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი ან მათგან დასაბრუნებელი ბრუნვიდან გადასახადის წმინდა ოდენობა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა კრედიტორული დავალიანების ან სხვა დებიტორული დავალიანების მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშების დანერგვით. შესაბამისად, კომპანია ყველა გადასახადთან დაკავშირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გ) უცხოური ვალუტები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტაცაა.

გარიგებები და ნაშთები

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავდაპირველად აღირიცხება კომპანიის სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაციაც ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სპოტ გაცვლითი კურსებით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსით.

ფულადი მუხლების ანგარიშსწორების ან კონვერტაციის ოპერაციების შედეგად წარმოშობილი სხვაობები ასახულია მოგებაში ან ზარალში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი გარიგებების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა.

წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას შესაბამისი აქტივების, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარების დროს გამოყენებული სპოტ სავალუტო კურსის განსაზღვრისას ოპერაციის თარიღად ჩაითვლება ის თარიღი, რომლითაც კომპანია თავდაპირველად აღიარებს წინასწარი გადახდით მიღებულ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. თანხის არაერთი წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, კომპანიამ თანხის თითოეული წინასწარი გადახდისთვის ან მიღებისთვის ცალკე განსაზღვრავს ოპერაციის თარიღს.

დ) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია გაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

ე) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თვითღირებულებით აღირიცხება, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და/ა დაგროვილი გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ასეთი ხარჯები მოიცავს ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლისა და სესხით სარგებლობის ხარჯებს გრძელვადიანი სამშენებლო პროექტების შემთხვევაში, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია.

როდესაც ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის პერიოდული შეცვლა ხდება უცვლელი, კომპანია ასეთ ნაწილებს აღიარებს დამოუკიდებელ აქტივად კონკრეტული სასარგებლო გამოყენების ვადით და შესაბამისად არიცხავს ცვეთას. ანალოგიურად, როდესაც ტარდება ფართომასშტაბიანი ინსპექცია, მისი ხარჯის აღიარება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ოდენობაში ხდება, როგორც ჩანაცვლების ღირებულებისა, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯის აღიარება ხდება მათი დადგომისთანავე სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ცვეთა გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე შემდეგნაირად:

შენობები	5-35 წელი
საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	2-6 წელი
სატრანსპორტო საშუალებები და სხვა	3-7 წელი

აქტივებს ცვეთა ერიცხებათ მათი ექსპლუატაციაში მიღების თარიღიდან.

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება ადარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ვ) არამატერიალური აქტივები

ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება ყოველგვარი დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. კომპანიაში წარმოქმნილი არამატერიალური აქტივები, გარდა კაპიტალიზებული კვლევა-განვითარების ხარჯებისა, არ კაპიტალიზდება და დანახარჯები აისახება იმ პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, რომლის განმავლობაშიც ეს დანახარჯი გაიწია.

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს აქვს სასარგებლო გამოყენების განსაზღვრული ვადა და, ძირითადად, მოიცავს კაპიტალიზებულ კომპიუტერული პროგრამულ უზრუნველყოფას და ლიცენზიებს. შეზღუდული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზება ხდება ეკონომიკური მომსახურების ვადის პერიოდში და გაუფასურების ოდენობის დასადგენად გადაფასდება მაშინ, როდესაც რამე მიანიშნებს ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურებაზე. ამორტიზაციის პერიოდი და მეთოდი სასარგებლო გამოყენების განსაზღვრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივის შემთხვევაში მინიმუმ ყოველი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს გადაისინჯება. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება შესაბამისად ცვლის ამორტიზაციის პერიოდს ან მეთოდს და აღირიცხება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება.

კომპანიის კონტროლის ქვეშ მყოფ იდენტიფიცირებად და უნიკალურ პროგრამული უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება, როგორც არამატერიალური აქტივები, თუ მოსალოდნელია, რომ შემოდინებული ზღვრული ეკონომიკური სარგებელი გადააჭარბებს ხარჯებს. კაპიტალიზებული ხარჯები მოიცავს პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების გუნდის დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს და შესაბამის ზედნაღებ ხარჯებს. ყველა სხვა ხარჯი, რომელიც კომპიუტერების პროგრამულ უზრუნველყოფას უკავშირდება, მაგ. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, აღირიცხება მათი გაწევის დროს.

შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში. კომპანიის არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა სამი წლიდან 10 წლამდეა.

არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს (ანუ მიმღების მიერ კონტროლის მოპოვების დღეს) ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ზ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულებაში შედის შესყიდვის ფასი, იმპორტის გადასახადი და დაუბრუნებელი გადასახადები, ასევე ტრანსპორტირების, ჩატვირთვა-გადმოტვირთვის და სხვა დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება საქონლის შეძენას. სასაქონლო-მატერიალური მარაგები აისახება გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის სავარაუდო ხარჯი.

თ) ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორისთვის – ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები

პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია მათი პირველადი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნესმოდელზე, რომლითაც ის ამ ფინანსურ აქტივებს მართავს. სავაჭრო დებიტორული დავალიანების გამოკლებით, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკული მიზანშეწონილობა გამოიყენა, კომპანია ფინანსურ აქტივს თავდაპირველად აღიარებს მისი სამართლიანი ღირებულებით და, თუ ფინანსური აქტივი არ არის აღიარებული სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, მას უმატებს გარიგების დანახარჯებს. სავაჭრო დებიტორული დავალიანება, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკული მიზანშეწონილობა გამოიყენა, ფასდება გარიგების ფასით ფასს 15-ის „შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ შესაბამისად.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირება და სრულდება ინსტრუმენტის დონეზე. ფინანსური აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს, კლასიფიცირდება და ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, განურჩევლად ბიზნესმოდელისა.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს ის თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად. ამორტიზებული ღირებულებით კლასიფიცირებული და შეფასებული ფინანსური აქტივები ფლობილია ისეთი ბიზნესმოდელის ფარგლებში, რომლის მიზანიც არის ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით, ხოლო სამართლიანი ღირებულებით კლასიფიცირებული და შეფასებული ფინანსური აქტივები, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ფლობილია ისეთი ბიზნესმოდელის ფარგლებში, რომლის მიზანიც არის როგორც მისი ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღების, ისე გაყიდვის მიზნით.

ფინანსური აქტივების ისეთი ყიდვა-გაყიდვა, როდესაც საჭიროა აქტივების ჩაბარება ნორმატიული აქტებით ან ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკით (გარიგების სტანდარტული პროცედურა) გათვალისწინებულ ვადაში აღირიცხება გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანია იღებს აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულებას.

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ▶ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები);
- ▶ სხვა სრულ შემოსავალში ასახვით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სავალო ინსტრუმენტები);
- ▶ სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;
- ▶ მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

ეს კატეგორია კომპანიისთვის ყველაზე აქტუალურია. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა დაკმაყოფილებულია:

- ▶ ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ▶ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილზე დარიცხული პროცენტის გადახდას.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

კომპანიის ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებში შედის სავაჭრო დებიტორული დავალიანება, სხვა მიმდინარე აქტივებში ასახული სხვა ფინანსური მოთხოვნები, სასესხო მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივის (ან, სადაც შესაძლებელია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარება ძირითადად მაშინ წყდება, როდესაც:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების ვადა;
- ▶ კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. იმ შემთხვევაში, არ მომხდარა რისკებისა და სარგებლის, აქტივზე კონტროლის არც გადაცემა და არც შენარჩუნება, კომპანიის მიერ აქტივის აღიარება ხდება შემდგომი გამოყენების პირობით. ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება ისე, რომ ასახავდეს კომპანიის მიერ შენარჩუნებულ უფლებებსა და მოვალეობებს.

უწყვეტი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, ფასდება უმცირესით აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და იმ მაქსიმალური თანხას შორის, რომლის გადახდაც შესაძლოა კომპანიას დასჭირდეს.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სავალ ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეყრდნობა სხვაობას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და ყველა იმ ფულად ნაკადს შორის, რომელთა მიღებასაც კომპანია მოელის, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს მიახლოებული განაკვეთით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

სავაჭრო დებიტორული დავალიანებისთვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია, ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიამ შეადგინა ანარიცხების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულში მიღებულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საკრედიტო დაწესებულებებში განთავსებული თანხებისთვის (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, საბანკო ანაზღაურებები) კომპანიამ გამოითვალა 12-თვიანი საკრედიტო ზარალი. 12-თვიანი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ის ნაწილი, რომელსაც განაპირობებს ფინანსურ ინსტრუმენტებზე დეფოლტის შემთხვევების შესაძლო დადგომა საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც აქტივის წარმოშობიდან საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, რეზერვი შეიქმნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით.

კომპანია ფინანსურ აქტივს გადაუხდელად მიიჩნევს, როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდები 360 დღით გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანია სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები

პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და გადასახდელი ანგარიშები, ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განკუთვნილია ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების შემთხვევაში, ამას ემატება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მხოლოდ სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების კატეგორიას მოიცავს, რაშიც შედის სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება და ნასესხები სახსრები.

შემდგომი შეფასება

თავდაპირველი აღიარების შემდეგ კომპანიის ფინანსური ვალდებულებები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის დროს, აგრეთვე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით დარიცხული ამორტიზაციის პროცესში.

ამორტიზებული ღირებულება გამოანგარიშებულია ნებისმიერი დისკონტის ან შესყიდვის პრემიის, აგრეთვე საზღაურების თუ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ნაწილში.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე არსებითად განსხვავებული პირობების ან ისეთი მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობების საფუძველზე, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება განიხილება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და შემხვედრი მოთხოვნების ურთიერთგაქცივის ან ერთდროულად აქტივების რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის განზრახვა.

ი) ჯარა

ხელშეკრულების გაფორმების დროს კომპანია აფასებს, ხელშეკრულება წარმოადგენს ან შეიცავს თუ არა იჯარას. ანუ თუ ხელშეკრულება გულისხმობს გარკვეული პერიოდის განმავლობაში კონკრეტული აქტივის გაკონტროლების ან გამოყენების უფლებას ანაზღაურების სანაცვლოდ.

აქტივის გამოყენების უფლება

კომპანია იყენებს აღიარების და შეფასების ერთ მიდგომას ყველა იჯარისთვის, გარდა მოკლევადიანი იჯარებისა და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებისა. კომპანია აღიარებს საიჯარო გადასახადების გადახდის ვალდებულებას და აქტივის გამოყენების უფლებას, რომლებიც წარმოადგენს საბაზისო აქტივების გამოყენების უფლებას.

კომპანია აქტივის გამოყენების უფლებას აღიარებს იჯარის დაწყების თარიღისთვის (ანუ იმ თარიღით, როდესაც საბაზისო აქტივი ხელმისაწვდომია გამოსაყენებლად). აქტივის გამოყენების უფლება ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი და კორექტირდება საიჯარო ვალდებულებების ყოველი ხელახალი შეფასებისას. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს აღიარებული საიჯარო ვალდებულებების, გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯების და იჯარის დაწყების თარიღით ან თარიღამდე გადახდილი იჯარების თანხებს, რასაც აკლდება მიღებული საიჯარო შეღავათები. აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა წრფივი მეთოდით ერიცხება იჯარის ან სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადებიდან უფრო მოკლე ვადის განმავლობაში.

შენიშვნა-ნაგებობები

5-35 წელი

საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი

2-6 წელი

სატრანსპორტო საშუალებები

3-7 წელი

თუ იჯარის ვადის ბოლოს საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება კომპანიას გადაეცემა, ან ხარჯი ასახავს შესყიდვის უფლების გამოყენებას, ცვეთა გამოითვლება აქტივის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის მეშვეობით.

აქტივის გამოყენების უფლება ასევე ექვემდებარება გაუფასურებას.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საიჯარო ვალდებულებები

იჯარის დაწყების თარიღისთვის კომპანია აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს, რომლებიც გამოითვლება, როგორც იჯარის ვადის განმავლობაში გადასახდელი თანხების დღევანდელი ღირებულება. საიჯარო გადასახადები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), შემცირებულს მისაღები საიჯარო შეღავათებით, ცვლად საიჯარო გადასახადებს, რომლებიც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე და თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით. საიჯარო გადასახადები ასევე შედგება შესყიდვის ოფციონის რეალიზაციის ფასიგან, რომლის კომპანიის მიერ რეალიზაციის გონივრული რწმენა არსებობს, და იჯარის შეწყვეტისთვის გადახდილი ჯარიმებისგან, თუ იჯარის ვადა ასახავს კომპანიის მიერ იჯარის შეწყვეტის ოფციონის რეალიზაციას. ცვლადი საიჯარო გადასახადები, რომლებიც არ არის მიბმული ინდექსზე ან განაკვეთზე, აღიარებულია იმ პერიოდის ხარჯად (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი გაიწევა სასაქონლო-მატერიალური მარაგების შესაქმნელად), რომლის განმავლობაშიც დგება გადახდის გამომწვევი მოვლენა ან პირობა.

საიჯარო გადასახადების დღევანდელი ღირებულების გამოსათვლელად კომპანია იყენებს თავის ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის დაწყების თარიღისთვის, რადგან საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი მკაფიოდ განსაზღვრული არ არის.

იჯარის დაწყების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულებების თანხა იზრდება, რათა ასახოს პროცენტის ზრდა და მცირდება იჯარის გადახდის შესაბამისად. ამასთან, საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ხელახლა ფასდება, თუ ხდება იჯარის ვადის მოდიფიკაცია ან ცვლილება, თუ იცვლება საიჯარო გადახდები (მაგ. ცვლილება სამომავლო გადახდებში მათი ოდენობის განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო), ან ცვლილება შედის საბაზისო აქტივის შესყიდვის ოფციონის შეფასებაში.

კომპანიის საიჯარო ვალდებულებები შესულია სხვა მიმდინარე ვალდებულებებში და საიჯარო ვალდებულების გრძელვადიან ნაწილში.

მოკლევადიანი იჯარები და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა

კომპანია იყენებს მოკლევადიანი იჯარის აღიარებისთვის დაშვებულ გამონაკლისებს თავისი სადისტრიბუციო მანქანების და საწყობების მოკლევადიანი იჯარებისთვის (ანუ იმ იჯარების შემთხვევაში, რომელთა ვადა, მაქსიმუმ, 12 თვეა იჯარის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და არ შეიცავს შესყიდვის უფლებას). ეს ეხება დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივებსაც.

სადისტრიბუციო მანქანების იჯარის აღიარებისთვის, რომლებიც დაბალი ღირებულების მქონედ ითვლება, დაშვებულია გამონაკლისი. მოკლევადიან იჯარებზე და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებზე საიჯარო გადასახადების აღიარება ხდება ხარჯად წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანია, როგორც მეიჯარი

იჯარას, რომლის დროსაც კომპანია არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. იჯარიდან შემოსავალი აღირიცხება დარიცხვის წრფივი მეთოდით იჯარის ვადაზე და, თავისი საოპერაციო ხასიათის გამო, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება შემოსავლის ნაწილში. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მათი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე იმავე წესით, როგორითაც საიჯარო შემოსავლისა. პირობითი საიჯარო ქირის აღიარება ხდება შემოსავლის სახით იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მისი მიღება.

კ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი თარიღისთვის კომპანია აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ან როდესაც აქტივის წლიური შემოწმება საჭირო მისი გაუფასურების დასადგენად, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოღინება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდელი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვების ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით. თუ ასეთი გარიგებების განსაზღვრა ვერ ხერხდება, შეფასების სხვა შესაფერისი მეთოდი გამოიყენება. ეს გამოთვლები დასაბუთდება შეფასების კოეფიციენტებით, აქციათა კოტირებული ფასებით საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული კომპანიების შემთხვევაში და სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

კომპანია გაუფასურებას გამოითვლის დეტალური ბიუჯეტისა და პროგნოზირებული გაანგარიშების საფუძველზე, რომლებიც ინდივიდუალურად მზადდება კომპანიის ფულადი ნაკადების წარმომქმნელი თითოეული ერთეულისთვის, რომლისთვისაც გამოყოფილია ესა თუ ის აქტივი. ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები, ჩვეულებრივ, ხუთწლიან პერიოდს მოიცავს. უფრო ხანგრძლივი პერიოდისთვის გამოითვლება გრძელვადიანი ზრდის ტემპი, რომელიც გამოიყენება ხუთი წლის შემდგომი ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის.

უწყვეტი ოპერაციების გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგების, მათ შორის სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გაუფასურებული აქტივის ფუნქციის შესაბამის ხარჯის კატეგორიებში.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ანგარიშგების ყოველი თარიღით ფასდება, არსებობს თუ არა იმის ნიშანი, რომ მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღმოფხვრილი ან შემცირებულია. თუ ამის ნიშნები მართლაც არსებობს, კომპანია აფასებს აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების შედეგად განცდილი უკვე აღიარებული ზარალის შებრუნება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის ანაზღაურებად ღირებულების განმსაზღვრელ დაშვებებში გარკვეული ცვლილებებია მომხდარი. შემობრუნების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს მის ანაზღაურებად ღირებულებას და ასევე არ უნდა გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთის გამოკლებით, წინა წლებში აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. ასეთი შემობრუნების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აქტივი აღრიცხულია გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც აღდგენა აღირიცხება, როგორც გადაფასებული ღირებულების ზრდა.

ლ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს ბანკში და სალაროში და მაქსიმუმ სამი თვის ვადის მოკლევადიან ანაზღაურებას, რომლებსაც აქვს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკი.

ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან და მოკლევადიანი დეპოზიტებისგან, ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად, დაუფარავი საბანკო ოვერდრაფტების გამოკლებით, ვინაიდან ისინი მიიჩნევა კომპანიის ნაღდი ფულის მართვის განუყოფელ ნაწილად.

მ) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ვალდებულებების მოცულობის მეტ-ნაკლები სიზუსტით შეფასება არის შესაძლებელი. თუ კომპანია მოელის ანარიცხების მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურებას, მაგალითად სადაზღვევო ხელშეკრულების საფუძველზე, ანაზღაურების აღიარება ხდება ცალკე აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ანაზღაურება გადაწყვეტილია. ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯები წარმოდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნებისმიერი ანაზღაურების გამოკლებით.

ნ) სამართლიანი ღირებულების შეფასება

საანგარიშგებო თარიღისთვის კომპანია გადააფასებს თავის ფინანსურ ინსტრუმენტებს. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება წარმოდგენილია 22-ე შენიშვნაში.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედეგად:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე; ან
- ▶ ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

ძირითადი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი კომპანიისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ თავიანთი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომლებისთვისაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება ისე, რომ მაქსიმალურად იყენებდეს საბაზრო ამოსავალ მონაცემებს და მინიმალურად – არასაბაზრო ამოსავალ მონაცემებს, რომლებიც, საერთო ჯამში, მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის:

- ▶ დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკოტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- ▶ დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- ▶ დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, კომპანიამ განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების, ასევე სამართლიანი ღირებულების ზემოაღნიშნულ იერარქიაში მათი დონის საფუძველზე.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.3. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და მათი ინტერპრეტაცია

ქვემოთ ჩამოთვლილ სტანდარტებს/ინტერპრეტაციებს, რომლებიც 2020 წლის 1 იანვრისთვის შევიდა ძალაში, გავლენა არ მოუხდენია ფინანსურ მდგომარეობაზე ან საქმიანობის შედეგებზე:

- ▶ ცვლილებები ფასს 3-ში: „საწარმოს განმარტება“;
- ▶ ცვლილებები ფასს (IFRS) 7-ში, ფასს (IFRS) 9-ში და ბასს (IAS) 39-ში „საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთის შესწორება“;
- ▶ ცვლილებები ბასს (IAS) 1-სა და ბასს (IAS) 8-ში: „ტერმინ „არსებითი“ განმარტება“;
- ▶ ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები, გამოშვებული 2018 წლის 29 მარტს;
- ▶ ცვლილებები ფასს (IFRS) 16-ში „კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა“.

კომპანიას ვადაზე ადრე არ მიუღია ისეთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული.

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ, კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის, ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ სტანდარტების მიღებას შეძლებისდაგვარად აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე:

- ▶ ფასს (IFRS) 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“;
- ▶ ცვლილებები ბასს 1-ში: ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად;
- ▶ „კონცეპტუალური საფუძვლების მითითება“ – შესწორებები ფასს (IFRS) 3-ში;
- ▶ ძირითადი საშუალებები: შემოსავალი დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე – ბასს 16-ის შესწორებები;
- ▶ „წამგებიანი კონტრაქტები – კონტრაქტის შესრულების ხარჯები“ – შესწორებები ბასს (IAS) 37-ში;
- ▶ ფასს (IFRS) 1 „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“ – შეიღობილი საწარმო, როგორც საწარმო, რომელიც პირველად იყენებს ფასს-ს;
- ▶ ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ – ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის „10 პროცენტის“ ტესტში მოყვანილი საკომისიოები;
- ▶ ბასს (IAS) 41 – „სოფლის მეურნეობა“ – გადასახადით დაბეგვრა სამართლიანი ღირებულების შეფასებებში.

ამ ცვლილებებს, სავარაუდოდ, არ ექნება მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და ასევე პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

ქვემოთ მოცემულია გადაწყვეტილებები, რომლებსაც აქვს ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა ამ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და შეფასებები, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს მომდევნო ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება:

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა, რომელიც საჭიროებს სათანადო მეთოდოლოგიის, მოდელების და ამოსავალი მონაცემების შერჩევას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მეთოდოლოგია დაწვრილებით არის განხილული მე-7 და 21-ე შენიშვნებში. კომპანია რეგულარულად ახდენს მოდელების და მათი ამოსავალი მონაცემების გადახედვას და დამტკიცებას, რათა შეამციროს სხვაობა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის პროგნოზსა და ფაქტობრივად განცდილ საკრედიტო ზარალს შორის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას კომპანია ეყრდნობა დასაბუთებულ საპროგნოზო ინფორმაციას, ძირითადად, თავისი მაკროეკონომიკური პროგნოზირების მოდელების შედეგს. ყველაზე მნიშვნელოვანი საპროგნოზო დაშვებები, რომლებიც კორელაციაშია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების დონესთან და მათთვის მიწიჭებულ წონებთან, არის სავალუტო კურსები და სამომხმარებლო ფასების ინდექსები.

დაბრუნებისთვის ცვალებადი ანაზღაურების შეფასება

კომპანია აფასებს ცვალებად ანაზღაურებას, რომელიც აისახება უკან დაბრუნების უფლებით და საბითუმო ფასდაკლების პირობით საქონლის გაყიდვის გარიგების ფასში.

კომპანიამ შეიმუშავა სტატისტიკური მოდელი გაყიდული საქონლის დაბრუნების პროგნოზირებისთვის. მოდელი საქონლის დაბრუნების ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით განსაზღვრავს მოსალოდნელი დაბრუნებების პროცენტულობას. ეს პროცენტები შემდეგ გამოიყენება მოსალოდნელი ცვალებადი ანაზღაურების ოდენობის დასადგენად. თუ ამჟამინდელი გამოცდილება მნიშვნელოვნად განსხვავდება საქონლის დაბრუნების ისტორიული მაჩვენებლებისგან, ეს გავლენას მოახდენს კომპანიის მიერ პროგნოზირებულ დაბრუნების პროცენტულ მაჩვენებლებზე.

კომპანია მოსალოდნელი დაბრუნებების და საბითუმო ფასდაკლებების შეფასებას განაახლებს კვარტალურად და შესაბამისად აკორექტირებს დაბრუნებასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

მოსალოდნელი დაბრუნებების შეფასება მგრძნობიარეა გარემოებების ცვლილებისადმი და კომპანიის წარსული გამოცდილება შეიძლება არ ასახავდეს მომავალში მომხმარებლების ფაქტობრივ დაბრუნებებს და მათთვის შეთავაზებულ ფასდაკლებებს. ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქონლის მოსალოდნელი დაბრუნებებისთვის თანხის ანაზღაურების ვალდებულება არ იყო არსებითი.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

სასაქონლო-მატერიალური მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის აფასებს, არსებობს თუ არა სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების ობიექტური ნიშნები. ასეთი ობიექტური მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და დანაკარგის თანხა აისახება მიმდინარე პერიოდის ხარჯებში.

2.5. წინა წლის ნაშთების რეკლასიფიკაცია

2020 წლის განმავლობაში კომპანიამ გადასინჯა გარკვეული ანგარიშების წარმოდგენა თავის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. შედარებადი ფინანსური მონაცემების წარდგენა დაკორექტირდა მიმდინარე თანხების წარდგენასთან შესაბამისობაში მოსაყვანად:

- ▶ მომხმარებლებისთვის უფრო სარწმუნო და აქტუალური ინფორმაციის წარსადგენად, 2020 წელს კომპანიამ დაიწყო სხვა კრედიტორული დავალიანების წარმოდგენა სხვა მიმდინარე ვალდებულებების სახით, ხოლო სხვა დებიტორული დავალიანებისა – სხვა მიმდინარე აქტივების სახით.
- ▶ 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს კომპანიამ განსაზღვრა, რომ საიჯარო ვალდებულებების გრძელვადიანი ნაწილი ასახული იყო სხვა მიმდინარე ვალდებულებებში. ეს შეცდომა გასწორდა 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის შედარებადი ინფორმაციის რეკლასიფიკაციით:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	რეკლასიფი- კაციამდე	რეკლასიფიკაცია	რეკლასიფიკაციის შემდეგ
სხვა კრედიტორული დავალიანება	5,132	(5,132)	–
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	–	3,224	3,224
საიჯარო ვალდებულებების გრძელვადიანი ნაწილი	–	1,908	1,908
სულ ვალდებულებები	82,098	–	82,098
სხვა დებიტორული დავალიანება	10,941	(10,941)	–
სხვა მიმდინარე აქტივები	–	10,941	10,941
სულ აქტივები	110,434	–	110,434

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

3. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა- ნაგებობები	საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	აქტივის გამოყენების უფლება	სულ
თვითღირებულება					
2019 წლის 1 იანვრის					
მდგომარეობით	11,565	6,884	14,616	180	33,245
შემოსვლები	107	1,619	4,153	3,799	9,678
გასვლები	–	(33)	(5,233)	(186)	(5,452)
2019 წლის 31 დეკემბრის					
მდგომარეობით	11,672	8,470	13,536	3,793	37,471
შემოსვლები	310	1,010	1,114	2,875	5,309
გასვლები	–	(67)	(4,500)	(481)	(5,048)
2020 წლის 31 დეკემბრის					
მდგომარეობით	11,982	9,413	10,150	6,187	37,732
დაგროვილი ცვეთა					
2019 წლის 1 იანვრის					
მდგომარეობით	(3,212)	(3,806)	(6,446)	–	(13,464)
ცვეთის დანარიცხი	(542)	(1,932)	(2,618)	(588)	(5,680)
გასვლები	–	43	3,150	60	3,253
2019 წლის 31 დეკემბრის					
მდგომარეობით	(3,754)	(5,695)	(5,914)	(528)	(15,891)
ცვეთის დანარიცხი	(550)	(1,548)	(1,370)	(2,248)	(5,716)
გასვლები	–	21	2,512	145	2,678
2020 წლის 31 დეკემბრის					
მდგომარეობით	(4,304)	(7,222)	(4,772)	(2,631)	(18,929)
საბალანსო ღირებულება					
2019 წლის 31 დეკემბრის					
მდგომარეობით	7,918	2,775	7,622	3,265	21,580
2020 წლის 31 დეკემბრის					
მდგომარეობით	7,678	2,191	5,378	3,556	18,803

სრულად გაცვეთილი, მაგრამ ჯერ კიდევ ექსპლუატაციაში მყოფი ძირითადი საშუალებების მთლიანი საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის იყო 6,620 ლარი (2019 წ.: 4,033 ლარი).

აქტივის გამოყენების უფლება, ძირითადად, წარმოადგენს იჯარით აღებულ სატრანსპორტო საშუალებებს.

ქვემოთ მოცემულია მოგებაში ან ზარალში აღიარებული ცვეთის ოდენობა:

	31 დეკემბერი, 2020 წ.	31 დეკემბერი, 2019 წ.
ასახული სასაწყობო, ლოგისტიკურ და დისტრიბუციის ხარჯებში (მე-17 შენიშვნა)	1,346	900
ასახული რეალიზაციის და მარკეტინგის დანახარჯებში (მე-18 შენიშვნა)	2,954	3,237
ასახული ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში (მე-19 შენიშვნა)	1,416	1,543
სულ ცვეთის ხარჯი	5,716	5,680

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

4. არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა და შესაბამისი ლიცენზიები		
	სხვა	სულ	
თვითღირებულება			
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	3,157	82	3,239
შემოსვლები	59	–	59
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,216	82	3,298
შემოსვლები	27	–	27
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,243	82	3,325
დაგროვილი ამორტიზაცია			
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(1,464)	(50)	(1,514)
ამორტიზაციის დანარიცხი	(312)	(24)	(336)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(1,776)	(74)	(1,850)
ამორტიზაციის დანარიცხი	(320)	(6)	(326)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(2,096)	(80)	(2,176)
საბალანსო ღირებულება			
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,440	8	1,448
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,147	2	1,149

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია შესულია ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში (მე-19 შენიშვნა).

5. სხვა გრძელვადიანი აქტივები

სხვა გრძელვადიანი აქტივებში შედის დღგ-ის ჩასათვლეელი თანხა, რომელიც უკავშირდება ძირითადი საშუალებების შეძენაზე გადახდილ გადავადებულ დღგ-ს, რომლის დაბრუნებაც ერთ წელზე მეტ ვადაშია შესაძლებელი. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, საწარმოებს, რომელთა საერთო ბრუნვის 20 პროცენტზე მეტია დღგ-ისგან გათავისუფლებული (მაგ. შემოსავალი გაყიდვებიდან), შენობების შეძენასთან დაკავშირებული დღგ-ის ჩასათვლეელი თანხის მიღება მომდევნო 10 წლის, ხოლო და ძირითადი საშუალებების სხვა ობიექტების შეძენასთან დაკავშირებული დღგ-ის ჩასათვლეელი თანხის მიღება – ხუთი წლის განმავლობაში შეუძლიათ.

2019 წლამდე კომპანიის დღგ-ისგან გათავისუფლებული ბრუნვა ყოველთვის აღემატებოდა მთლიანი ბრუნვის 20%-ს, ამრიგად 2019 წლამდე შეძენილი ძირითადი საშუალებების ობიექტებთან დაკავშირებული დღგ-ის ჩასათვლეელი თანხა ასახულია გრძელვადიან აქტივებში. დღგ-ის მიმდინარე ნაწილი, რომელიც 2021 წელს ექვემდებარება დაბრუნებას, ასახულია სხვა მიმდინარე აქტივებში (მე-8 შენიშვნა).

2019 წლის შემდეგ კომპანიის დღგ-ისგან გათავისუფლებულმა ბრუნვამ მთლიანი ბრუნვის 20%-ზე ნაკლები შეადგინა და კომპანია ძირითად საშუალებებთან დაკავშირებული დღგ-ის ჩასათვლეელი თანხის 100%-ს იბრუნებს მიმდინარე პერიოდებში, 2020 წლისა და 2019 წლის განმავლობაში.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი, 2020 წ.	31 დეკემბერი, 2019 წ.
გასაყიდად გამოიწვლილი მარაგები	20,432	24,583
მარაგები გზაში	187	540
სხვა მარაგები	14	7
სასაქონლო-მატერიალური მარაგები, სულ	20,633	25,130

სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება, რომელიც აღიარებულია ხარჯად და ასახულია გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში, 137,801 ლარს შეადგენდა (2019 წ.: 159,907 ლარი).

სასაქონლო-მატერიალური მარაგების საბალანსო ღირებულება, რომელიც გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით არის აღრიცხული, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 20,633 ლარს შეადგენს (2019 წლის 31 დეკემბერი: 25,130 ლარი).

7. სავაჭრო დებიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი, 2020 წ.	31 დეკემბერი, 2019 წ.
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	41,276	42,768
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(1,940)	(1,099)
სულ სავაჭრო დებიტორული დავალიანება	39,336	41,669

სავაჭრო დებიტორული დავალიანება უპროცენტოა და, როგორც წესი, 14-დან 65 დღემდე დაფარვის პირობით.

ქვემოთ მოცემულია სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის მოძრაობა:

	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	653
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი (მე-19 შენიშვნა)	446
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,099
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი (მე-19 შენიშვნა)	841
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,940

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

7. სავაჭრო დებიტორული დავალიანება (გაგრძელება)

2020 წლის 31 დეკემბრისთვის სავაჭრო დებიტორულ დავალიანებასა და სხვა მიმდინარე აქტივებში შესული ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზი ასე გამოიყურება:

	საერთო საბალანსო ღირებულება	ზარალის დონე	საკრედიტო ზარალის რეზერვი
სავაჭრო დებიტორული დავალიანება:			
ა) სავაჭრო დებიტორული დავალიანების დაზღვეული ნაშთები	26,750	0.00%	–
ბ) სავაჭრო დებიტორული დავალიანების დაუზღვეველი ნაშთები			
მსხვილი მომხმარებლების და დიდი ქსელების მიმდინარე ნაშთები	6,900	1.00%	69
მსხვილი მომხმარებლები და დიდი ქსელები 30-ზე ნაკლები დღით ვადაგადაცილებული დავალიანებით	256	1.00%	3
მსხვილი მომხმარებლები 360-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული დავალიანებით	406	100.00%	406
სხვა მომხმარებლები:			
- მიმდინარე	5,000	0.56%	28
- 30 დღემდე ვადაგადაცილებული	192	5.61%	11
- 30-დან 60 დღემდე ვადაგადაცილებული	40	17.50%	7
- 60-დან 90 დღემდე ვადაგადაცილებული	40	35.85%	14
- 120-დან 90 დღემდე ვადაგადაცილებული	54	43.83%	24
- 120 დღეზე მეტით ვადაგადაცილებული	1,638	84.11%	1,378
მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული სავაჭრო დებიტორული დავალიანება, სულ (საბალანსო ღირებულება)	41,276		1,940

2019 წლის 31 დეკემბრისთვის სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებაში შესული ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზი ასე გამოიყურება:

	საერთო საბალანსო ღირებულება	ზარალის დონე	საკრედიტო ზარალის რეზერვი
სავაჭრო დებიტორული დავალიანება:			
ა) სავაჭრო დებიტორული დავალიანების დაზღვეული ნაშთები	25,336	0.00%	–
ბ) სავაჭრო დებიტორული დავალიანების დაუზღვეველი ნაშთები			
მსხვილი მომხმარებლების და დიდი ქსელების მიმდინარე ნაშთები	4,751	1.00%	48
მსხვილი მომხმარებლები და დიდი ქსელები 30-ზე ნაკლები დღით ვადაგადაცილებული დავალიანებით	301	1.00%	3
მსხვილი მომხმარებლები 360-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული დავალიანებით	411	88.25%	363
სხვა მომხმარებლები:			
- მიმდინარე	9,830	0.31%	30
- 30 დღემდე ვადაგადაცილებული	642	0.31%	2
- 30-დან 60 დღემდე ვადაგადაცილებული	98	1.93%	2
- 60-დან 90 დღემდე ვადაგადაცილებული	100	11.22%	11
- 120-დან 90 დღემდე ვადაგადაცილებული	72	30.24%	22
- 120 დღეზე მეტით ვადაგადაცილებული	1,227	50.38%	618
მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული სავაჭრო დებიტორული დავალიანება, სულ (საბალანსო ღირებულება)	42,768		1,099

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

7. სავაჭრო დებიტორული დავალიანება (გაგრძელება)

კომპანია მომხმარებლებზე გასცემს საკრედიტო ლიმიტებს. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საკრედიტო ლიმიტის 26,806 ლარის (2019 წ.: 30,236 ლარი) ნაშთები დაზღვეულია შპს „ისრაელის საკრედიტო რისკების დაზღვევის კომპანიის“ (ICIC) მიერ. მშობელ კომპანიასთან გაფორმებული სადაზღვევო ხელშეკრულების მიხედვით, შპს „ისრაელის საკრედიტო რისკების დაზღვევის კომპანია“ კომპანიას აუნაზღაურებს დამზღვევი მომხმარებლის საკრედიტო ნაშთებს, თუ ისინი უიმედო გახდება.

8. სხვა მიმდინარე აქტივები

	31 დეკემბერი, 2020 წ.	31 დეკემბერი, 2019 წ.
სხვა ფინანსური მოთხოვნები	9,365	16,283
გადახდილი ავანსები	1,221	2,685
შემენილი ძირითადი საშუალებების დღ-ის ჩასათვლელი თანხა (მე-5 შენიშვნა)	355	430
სხვა მიმდინარე აქტივები, სულ	10,941	19,398

9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31 დეკემბერი, 2020 წ.	31 დეკემბერი, 2019 წ.
ბანკის მიმდინარე ანგარიში	937	378
ფულადი სახსრები გზაში	–	4
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სულ	937	382

10. საწესდებო კაპიტალი

2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 1 ლარით.

2020 და 2019 წლებში დივიდენდები არ გამოცხადებულა და არ გადახდილა.

11. ნასესხები სახსრები

	31 დეკემბერი, 2020 წ.	31 დეკემბერი, 2019 წ.
მშობელი კომპანიისგან მიღებული მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები (ა)	14,321	5,955
ქართული კომერციული ბანკებისგან მიღებული მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები (ბ)	23,741	30,967
სულ მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები	38,062	36,922

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

11. ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

	31 დეკემბერი, 2020 წ.	31 დეკემბერი, 2019 წ.
მშობელი კომპანიისგან მიღებული გრძელვადიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები (ა)	10,452	16,092
ქართული კომერციული ბანკებისგან მიღებული გრძელვადიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები (ბ)	–	94
სულ გრძელვადიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები	10,452	16,186

(ა) მშობელი კომპანიისგან მიღებული სესხები

კომპანია მშობელი კომპანიისგან სესხებს იღებს თავისი კაპიტალური და საოპერაციო დანახარჯების დასაფინანსებლად. მშობელი კომპანიისგან მიღებული სესხები გამოხატულია ევროში და მათი ვადა 2021 წლის მარტიდან 2024 წლის მარტამდე მერყეობს.

(ბ) ქართული კომერციული ბანკებისგან მიღებული სესხები

კომპანია ქართული კომერციული ბანკებისგან იღებს სესხებს თავისი საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად. 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წლებში ქართული კომერციული ბანკებისგან აღებული სესხები გამოხატული იყო ლარში. სესხები მოკლევადიანია და ერთ წელში უნდა დაიფაროს.

საბანკო სესხების უზრუნველსაყოფად გამოყენებული აქტივები მე-14 შენიშვნაშია განხილული.

კომპანიის სესხები წარმოდგენილია შემდეგ ვალუტებში:

	31 დეკემბერი, 2020 წ.	31 დეკემბერი, 2019 წ.
- ლარი	23,741	31,061
- ევრო	24,773	22,047
ნასესხები სახსრები, სულ	48,514	53,108

მიმდინარე ნასესხები სახსრების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

საკრედიტო ხაზების აუთენტიკური თანხა, რომელიც ახლო მომავალში ხელმისაწვდომი იქნება საოპერაციო საქმიანობისა და კაპიტალური დაბანდების ვალდებულებების დასაფარად, 2020 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 5,050 ლარს (2019 წ.: ნული).

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

11. ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

(ბ) ქართული კომერციული ბანკებისგან მიღებული სესხები (გაგრძელება)

ფინანსური საქმიანობით გამოწვეული ვალდებულებების შეჯერება

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსურ საქმიანობასთან ვალდებულებების ანალიზი და კომპანიის ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებების მოძრაობა თითოეულ წარმოდგენილ პერიოდში. ამ ვალდებულებების მუხლები ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ასახულია, როგორც ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:

	2020	2019
ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებები		
1 იანვრის მდგომარეობით	53,108	46,355
ნასესხები სახსრები	159,428	195,815
საპროცენტო ხარჯი	3,964	3,566
სესხის ძირითადი თანხის შენატანები	(168,612)	(190,475)
გადახდილი პროცენტი	(4,188)	(3,041)
წმინდა საკურსო ზარალი	4,814	888
ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებები		
31 დეკემბრის მდგომარეობით	48,514	53,108

12. სავაჭრო კრედიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი, 2020 წ.	31 დეკემბერი, 2019 წ.
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	10,938	20,042
დაკავშირებული მხარეებისთვის გადასახდელი თანხები (23-ე შენიშვნა)	2,217	3,816
სულ სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	13,155	23,858

13. სხვა მიმდინარე ვალდებულებები

	31 დეკემბერი, 2020 წ.	31 დეკემბერი, 2019 წ.
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების დარიცხული ხარჯი	2,584	1,511
საიჯარო ვალდებულება	2,043	1,353
სხვა საგადასახადო ვალდებულებები, მოგების გადასახადის გარდა	990	360
სხვა მიმდინარე ვალდებულებები, სულ	5,617	3,224

ქვემოთ წარმოდგენილია საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები და მათი მოძრაობა პერიოდის განმავლობაში:

	2020	2019
საიჯარო ვალდებულებები 1 იანვრის მდგომარეობით	3,261	—
შემოსვლები	2,907	3,673
საპროცენტო განაკვეთის გაზრდა	337	74
გადახდები	(2,963)	(401)
აღიარების შეწყვეტა ხელშეკრულების გაუქმების გამო	(333)	(85)
საიჯარო ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,209	3,261
მიმდინარე	2,043	1,353
გრძელვადიანი	1,166	1,908

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

13. სხვა ვალდებულებები (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულია მოგებაში ან ზარალში აღიარებული თანხები:

	31 დეკემბერი, 2020 წ.	31 დეკემბერი, 2019 წ.
აქტივის გამოყენების უფლების სამორტიზაციო ანარიცხები	2,248	588
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	337	74
მოგებაში ან ზარალში აღიარებული მთლიანი თანხა	2,585	662

14. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა

საკმაოდ ხშირია საქართველოს და ისრაელის საგადასახადო და სატრანსფერო ფასწარმოქმნასთან დაკავშირებული კანონმდებლობის არაერთგვაროვანი განმარტება და ცვლილება. ხელმძღვანელობის მხრიდან იმის აღქმას, თუ როგორ მოქმედებს კანონმდებლობა კომპანიის გარიგებებსა და საქმიანობაზე, შეიძლება, არ დაეთანხმნენ შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კანონმდებლობისა და რეგულაციების მისეული აღქმა ადეკვატურია და რომ მას ადეკვატურად აქვს დეკლარირებული და აღრიცხული ყველა საგადასახადო რისკი.

დაგირავებული და შეზღუდული წვდომის აქტივები

კომპანიას ქართული კომერციული ბანკებისგან ნასესხები სახსრების უზრუნველსაყოფად შემდეგი აქტივები ჰქონდა გამოყენებული:

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2020 წ.	31 დეკემბერი, 2019 წ.
ძირითადი საშუალებები		10,221	11,323
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	6	20,633	25,130
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	7	39,336	41,669
სულ		70,190	78,122

გარემოსდაცვითი საკითხები

საქართველოში კანონმდებლობა გარემოს დაცვის დარგში ვითარდება, ხოლო სამართალგამოყენების ფორმები სამთავრობო ორგანოების მუდმივი გადასინჯვის საგანს წარმოადგენს. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოს დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად. როგორც კი წარმოიქმნება ვალდებულება, ხდება მისი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებულ წესებში ან კანონმდებლობაში ცვლილებების და ასევე სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სამართალგამოყენების არსებული კლიმატის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიას გარემოსათვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებით არა აქვს მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

15. შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

	2020	2019
- საყოფაცხოვრებო და თავის მოვლის საშუალებები	108,663	106,909
- საკვები და სასმელი პროდუქტები	77,099	104,627
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან, სულ	185,762	211,536

კომპანიამ აღიარა შემოსავლებთან დაკავშირებული შემდეგი სავაჭრო დებიტორული დავალიანება:

	2020	2019
სავაჭრო დებიტორული დავალიანება (მე-7 შენიშვნა)	39,336	41,669

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ აქვს სახელშეკრულებო ვალდებულებები.

16. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

	2020	2019
- საყოფაცხოვრებო და თავის მოვლის საშუალებები	80,584	83,806
- საკვები და სასმელი პროდუქტები	57,217	76,101
სულ გაყიდული საქონლის თვითღირებულება	137,801	159,907

17. სასაწყობო, ლოგისტიკური და დისტრიბუციის ხარჯები

	2020	2019
ხელფასები და ხელფასებთან დაკავშირებული ხარჯები	5,341	6,775
ცვტა	1,346	900
საწვავი, შეკეთება და ტექნიკური მომსახურება	774	1,469
შენახვისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები	309	473
სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურება	295	589
დაზღვევის ხარჯი	52	66
სხვა ხარჯები	180	535
სულ სასაწყობო, ლოგისტიკური და დისტრიბუციის ხარჯები	8,297	10,807

18. რეალიზაციის და მარკეტინგის დანახარჯები

	2020	2019
ხელფასები და ხელფასებთან დაკავშირებული ხარჯები	9,627	9,643
რეკლამა და გაყიდვების სტიმულირება	5,142	5,064
ცვტა	2,954	3,237
სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურება და შეკეთება, საწვავი	762	1,805
სხვა ხარჯები	8	22
სულ რეალიზაციის და მარკეტინგის დანახარჯები	18,493	19,771

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

19. ზოგადი და ადმინისტრაციული დანახარჯები

	2020	2019
ხელფასები და ხელფასებთან დაკავშირებული ხარჯები	5,081	4,446
მართვის გასამრჯელო, საინფორმაციო ტექნოლოგიის დანახარჯები დაკავშირებული მხარეებისგან (23-ე შენიშვნა)	4,749	5,098
ცვეთა და ამორტიზაცია	1,742	1,786
სავარაუდო საკრედიტო ზარალის რეზერვი (მე-7 შენიშვნა)	841	446
მოკლევადიან იჯარებთან, დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებთან დაკავშირებული ხარჯები და კომუნალური ხარჯები	627	686
პროფესიული გასამრჯელო	594	654
სხვა საოპერაციო გადასახადები	217	493
მონაცემების დამუშავება და კომუნიკაცია	215	217
ოფისის ტექნიკურ-სამეურნეო მომსახურება და ადმინისტრირება	210	341
ბანკის საკომისიო	157	130
მგზავრობის ხარჯი	73	201
წარმომადგენლობითი ხარჯები	50	86
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	1,420	1,110
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები, სულ	15,976	15,694

კომპანიის აუდიტორის გასამრჯელო 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შეადგენს 311 ლარს (დღგ-ის გარეშე) (2019 წ.: 317 ლარი) და ასახულია პროფესიული მომსახურების გასამრჯელოში.

20. სხვა საოპერაციო შემოსავალი

	2020	2019
შემოსულობა ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	556	592
სადაზღვევო შემოსავალი	6	147
სხვა შემოსავალი	22	11
სხვა საოპერაციო შემოსავალი, სულ	584	750

21. ფინანსური რისკის მართვა

რისკის მართვის ფუნქციას კომპანიაში ეკისრება ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვა. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო (მათ შორის სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სხვა საფასო რისკებს), საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკებს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ფუნქცია არის რისკის ლიმიტების დადგენა და იმის უზრუნველყოფა, რომ დაუფარავი დავალიანება დადგენილ ლიმიტებს არ სცდებოდეს. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციები გამიზნულია შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორად ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

21. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მონაწილე მხარე ვერ შეძლებს მოვალეობის შესრულებას და ამით მეორე მხარეს ფინანსურ ზარალს მიაყენებს.

კომპანიას საკრედიტო რისკი აქვს თავისი საოპერაციო საქმიანობიდან (ძირითადად, სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მიმდინარე აქტივები) და ფინანსური საქმიანობიდან, ბანკებში განთავსებული მიმდინარე ანგარიშების ჩათვლით.

კომპანიის საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა ასახულია ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და შეადგენს 51,800 ლარს (2019 წ.: 61,449).

საკრედიტო რისკი კომპანიის ბიზნესისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რისკია, ამიტომ ხელმძღვანელობა ამ რისკის მართვას სიფრთხილით ეკიდება.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება

საკრედიტო რისკის შეფასება, მისი მართვის მიზნით, კომპლექსური პროცესია და გულისხმობს მოდელის გამოყენებას, ვინაიდან რისკი იცვლება საბაზრო პირობების, მოსალოდნელი ფულადი ნაკადების და დროის გასვლის შესაბამისად. აქტივების პორტფელის საკრედიტო რისკის შეფასება გულისხმობს დეფოლტების დადგომის ალბათობის, შესაბამისი ზარალიანობის კოეფიციენტების და კონტრაქტებს შორის დეფოლტის კორელაციების საფუძველიან განსაზღვრას.

გაუფასურების ანალიზი ტარდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ანარიცხების მატრიცის გამოყენებით, რომლითაც ფასდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. დარეზერვების ნორმები ეყრდნობა სხვადასხვა სეგმენტებად დაჯგუფებული, ზარალიანობის მსგავსი მაჩვენებლის მქონე, მომხმარებლებისთვის დადგენილ ვადაგადაცილებულ დღეებს. საანგარიშგება ასახავს საშუალო შეწონილ ალბათობას, ფულის დროით ღირებულებას და გონივრულ და დასაბუთებულ ინფორმაციას, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის არის ხელმისაწვდომი წარსულში მომხდარი მოვლენების, არსებული პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური ვითარების პროგნოზების შესახებ. ზოგადად, სავაჭრო დებიტორული დავალიანება ჩამოიწერება ერთ წელზე მეტი ხნით ვადაგადაცილების შემთხვევაში და იძულებითი აღსრულების ღონისძიებას არ ექვემდებარება.

კომპანია საკრედიტო რისკების დონეებს განსაზღვრავს ლიმიტების დაწესების გზით რისკის იმ მოცულობაზე, რომელიც მზადაა მიიღოს კონტრაქტებზე ან კონტრაქტების ჯგუფზე ან ცალკეულ გეოგრაფიულ არეალზე თუ დარგობრივ სეგმენტზე. საკრედიტო რისკის დონეზე დაწესებული ლიმიტები რეგულარულად მტკიცდება ხელმძღვანელობის მიერ. ამ რისკების მონიტორინგი, პროდუქტების და დარგის მიხედვით, ხდება სისტემატურად, ხოლო მათი გადახედვა ხდება ყოველწლიურად ან უფრო ხშირად.

საკრედიტო რისკის მოცულობის შესაფასებლად, სტრუქტურული ანალიზის საფუძველზე მზადდება რეგულარული ანგარიშები კლიენტის საქმიანობისა და ფინანსური შედეგების შესახებ. გაუარესებული კრედიტუნარიანობის მქონე მომხმარებლებთან ყოველგვარი მნიშვნელოვანი ურთიერთობა გადასამოწმებლად ეცნობება ხელმძღვანელობას. კომპანიის ხელმძღვანელობა ეცნობა კონტრაქტების ფინანსურ შედეგებს და ვადაგადაცილებულ ნაშთებს.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საკრედიტო ლიმიტის 26,806 ლარის (2019 წ.: 30,236 ლარი) ნაშთები დაზღვეულია შპს „ისრაელის საკრედიტო რისკების დაზღვევის კომპანია“ (ICIC) მიერ. მშობელ კომპანიასთან გაფორმებული სადაზღვევო ხელშეკრულების მიხედვით, შპს „ისრაელის საკრედიტო რისკების დაზღვევის კომპანია“ კომპანიას აუნაზღაურებს დამზღვევი მომხმარებლის საკრედიტო ნაშთებს, თუ ისინი უიმედო გახდება.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

21. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

საკრედიტო რისკის კონცენტრაცია.

კომპანიას აქვს საკრედიტო რისკის კონცენტრაცია. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მთავარ მომხმარებლებში შედიოდა რვა კონტრაჰენტი (2019 წლის 31 დეკემბერი: რვა კონტრაჰენტი). ამ მომხმარებლების მთლიანი აგრეგირებული ნაშთი იყო 25,259 ლარი (2019 წ.: 22,836 ლარი), ანუ სავაჭრო დებიტორული დავალიანებისა და სხვა მიმდინარე აქტივების მთლიანი თანხის 52% (2019 წ.: 40%).

ნაღდი ფულის ნაშთი ბანკის მიმდინარე ანგარიშზე

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს ხელმისაწვდომი ფულადი სახსრების უდიდესი ნაწილის საქართველოს წამყვან ბანკებში განთავსებით. კომპანიის ხელმძღვანელობა მუდმივად აკონტროლებს იმ ბანკების სტატუსს, რომლებშიც ანაბრები აქვს განთავსებული.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკებს განაპირობებს ღია პოზიციები (ა) სავალუტო და (ბ) საპროცენტო განაკვეთების და ვალდებულებების, რომელთაგან ყველაზე მოქმედებს ბაზრის ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები. ხელმძღვანელობა აწესებს ლიმიტებს რისკის დასაშვებ მოცულობაზე, რისი მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ასეთი მიდგომა ვერ უზრუნველყოფს დანაკარგების აღმოფხვრას დაწესებული ლიმიტის ზევით ბაზარზე მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კრედიტზე სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება სავალუტო კურსის მერყეობის გამო. კომპანიის ძირითადი სავალუტო რისკები დგება იმ ფაქტის გამო, რომ კომპანიას სესხები აღებული აქვს ევროში და, ამასთან საქონლის და მომსახურების შესყიდვები უცხოურ ვალუტაში ხდება. სავალუტო რისკს ხელმძღვანელობა პერიოდულად აფასებს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია, რომელ ვალუტებში ჰქონდა კომპანიას რისკი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარში გამოხატულ ფულად აქტივებზე და ვალდებულებებზე:

	2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		
	ფინანსური აქტივები	ფინანსური ვალდებულებები	ნეტო პოზიცია
ევრო	31	25,000	(24,969)
აშშ დოლარი	27	2,961	(2,934)
თურქული ლირა	64	127	(63)
ლარი	49,515	37,056	12,459
სულ	49,637	65,144	(15,507)

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

21. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია, რომელ ვალუტებში ჰქონდა კომპანიას მნიშვნელოვანი რისკი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარში გამოხატულ ფულად აქტივებზე და ვალდებულებებზე:

	2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		
	ფინანსური აქტივები	ფინანსური ვალდებულებები	ნეტო პოზიცია
ევრო	7	22,895	(22,888)
აშშ დოლარი	6	4,414	(4,408)
რუსული რუბლი	–	140	(140)
ლარი	58,321	53,245	5,076
სულ	58,334	80,694	(22,360)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის შესაბამისი ერთეულების სამუშაო ვალუტასთან მიმართებით სავალუტო კურსის მოსალოდნელი ცვლილებების ეფექტი მოგება-ზარალზე და საკუთარ კაპიტალზე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ყველა სხვა ცვლადის უცვლელობის შემთხვევაში:

2020	სავალუტო კურსის პროცენტული ცვლილება		
	გამყარება	გაუფასურება	
ევრო	10.00%	(2,497)	2,497
აშშ დოლარი	10.00%	(293)	293
თურქული ლირა	10.00%	(6)	6

2019	სავალუტო კურსის პროცენტული ცვლილება		
	გამყარება	გაუფასურება	
ევრო	10.00%	(2,289)	2,289
აშშ დოლარი	10.00%	(441)	441
რუსული რუბლი	10.00%	(14)	(14)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია მოგება-ზარალის და საკუთარი კაპიტალის მგრძნობელობა საპროცენტო განაკვეთების გონივრულად მოსალოდნელი ცვლილებების მიმართ, რომლებსაც კომპანია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს იყენებს, თუ ყველა დანარჩენი ცვლადი მუდმივია: კომპანიის დასაბეგრ მოგებაზე ცვალებადი განაკვეთის მქონე ნასესხები სახსრები შემდეგ გავლენას ახდენს:

	საპროცენტო განაკვეთის ზრდა/შემცირება		ეფექტი დასაბეგრ მოგებაზე
2020	10%/(10%)		(2,332)/2,332
2019	10%/(10%)		(3,106)/3,106

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

21. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ საწარმოს გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება. კომპანია ხასიათდება ყოველდღიური მოთხოვნით ხელმისაწვდომ ფულადი სახსრების რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკვირდება ყოველთვიურ პროგნოზებს კომპანიის ფულად ნაკადებთან დაკავშირებით. კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს სტაბილური დაფინანსების ბაზა, რომელიც ძირითადად მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას და მიმდინარე საბანკო ოვერდრაფტებს.

ქვემოთ, ცხრილში მოყვანილია ვალდებულებები, რომლებიც გაანალიზებულია დარჩენილი სახელშეკრულებო ვადის მიხედვით. დაფარვის ვადების ცხრილში ასახული თანხები წარმოადგენს სახელშეკრულებო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს, რაც მოიცავს ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებულ მთლიან ვალდებულებებს (მომავალი ფინანსური ხარჯების გამოქვითვამდე). ამგვარი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ოდენობებისგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მითითებული თანხები ემყარება დისკონტირებული ფულადი ნაკადების მონაცემებს.

როდესაც კრედიტორული დავალიანების ოდენობა ფიქსირებული არ არის, გასამჟღავნებელი თანხის ოდენობა განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული პირობების შესაბამისად. გადახდა უცხოურ ვალუტაში გამოითვლება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის არსებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	სულ
ვალდებულებები					
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება (მე-12 შენიშვნა)	10,938	2,217	–	–	13,155
სხვა მიმდინარე ვალდებულებები (მე-13 შენიშვნა)	2,904	670	–	–	3,574
საიჯარო ვალდებულებები (მე-13 შენიშვნა)	65	643	1,583	1,166	3,457
ნასესხები სახსრები (მე-11 შენიშვნა)	1,793	4,261	35,327	14,870	56,251
სულ სამომავლო გადახდები, ძირითადი თანხისა და პროცენტის სამომავლო გადახდების ჩათვლით	15,700	7,791	36,910	16,036	76,437

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	სულ
ვალდებულებები					
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება (მე-12 შენიშვნა)	20,041	3,817	–	–	23,858
საიჯარო ვალდებულებები (მე-13 შენიშვნა)	811	253	758	1,906	3,728
სხვა მიმდინარე ვალდებულებები (მე-13 შენიშვნა)	1,871	–	–	–	1,871
ნასესხები სახსრები (მე-11 შენიშვნა)	1,921	1,544	34,332	17,646	55,443
სულ სამომავლო გადახდები, ძირითადი თანხისა და პროცენტის სამომავლო გადახდების ჩათვლით	24,644	5,614	35,090	19,552	84,900

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

21. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს კაპიტალის საკმარისი ბაზის შენარჩუნებას, რომ დააკმაყოფილოს კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნები.

22. სამართლიანი ღირებულებები

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას:

- ▶ თუ ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები არის ლიკვიდური ან ხასიათდება ხანმოკლე (12 თვეზე ნაკლები) ვადით ან ფინანსურ ვალდებულებებს აქვს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, მიიჩნევა, რომ მათი საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიანი ღირებულებას.
- ▶ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების მქონე ნასესხები სახსრების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით ანალოგიური პირობების, საკრედიტო რისკის და ვადის მქონე სესხის მიმდინარე განაკვეთების გამოყენებით.

ყველა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულებებიც გაცხადებულია, სამართლიანი ღირებულებების იერარქიაში მე-3 დონით ფასდება, გარდა ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისა, რომლებიც 1-ლი დონით არის შეფასებული.

23. ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ ან საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. დაკავშირებულ მხარეების ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია იმ გარიგებების მთლიანი თანხა, რომლებიც დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა:

	31 დეკემბერი, 2020 წ.	31 დეკემბერი, 2019 წ.
მშობელი კომპანიისგან ნასესხები სახსრები (მე-11 შენიშვნა)	(24,773)	(22,047)
მშობელი კომპანიის გადასახდელი თანხები (მე-12 შენიშვნა)	(2,217)	(3,816)

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

23. ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარეებთან შემოსავლისა და ხარჯის მუხლები ასე გამოიყურება:

	31 დეკემბერი, 2020 წ.	31 დეკემბერი, 2019 წ.
მშობელი კომპანიისთვის მომსახურების მიყიდვა	33	105
მშობელი კომპანიისთვის გადასახდელი საპროცენტო ხარჯი	(1,111)	(1,011)
მშობელი კომპანიის მიერ მოწოდებული მართვისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურების ხარჯი (მე-19 შენიშვნა)	(4,749)	(5,098)

ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება

ხელმძღვანელობის ზედა რგოლში შედიან კომპანიის დირექტორთა საბჭოს წევრები. ქვემოთ წარმოდგენილია ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება:

	2020		2019	
	ხარჯი	დარიცხული ვალდებულება	ხარჯი	დარიცხული ვალდებულება
მოკლევადიანი სარგებელი:				
- ხელფასები	2,308	–	1,907	–
- მოკლევადიანი პრემიები	506	506	324	324
- ნატურის სახით გაცემული სარგებელი	605	–	297	–
სულ ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება	3,419	506	2,528	324

მოკლევადიანი პრემიების სრულად ანაზღაურება უნდა მოხდეს თორმეტ თვეში იმ პერიოდის ბოლოდან, რომლის განმავლობაშიც ხელმძღვანელობამ შესაბამისი მომსახურება გასწია.

24. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი

ქვემოთ მოცემულია მოგებაში ან ზარალში აღიარებული თანხები დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი:

	2020	2019
ასახული სასაწყობო, ლოგისტიკურ და დისტრიბუციის ხარჯებში (მე-17 შენიშვნა)	5,341	6,775
ასახული რეალიზაციის და მარკეტინგის დანახარჯებში (მე-18 შენიშვნა)	9,627	9,643
ასახული ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში (მე-19 შენიშვნა)	5,081	4,446
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი, სულ	20,049	20,864

25. შემდგომი მოვლენები

2021 წლის 10 იანვარს კომპანიის საბოლოო მშობელი კომპანიის იურიდიული სახელწოდება შეიცვალა და შპს „რამონ კოსმეტიკს ჰოლდინგის“ მაგივრად დაერქვა შპს „დიპლომატ ჰოლდინგის“.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

ლევან ყიფიანი

ბუღალტრული ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შენიშვნები

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ	5
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	24
3. ძირითადი საშუალებები	25
4. არამატერიალური აქტივები	25
5. სხვა გრძელვადიანი აქტივები	26
6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები	26
7. სავაჭრო დებიტორული დავალიანება	28
8. სხვა მიმდინარე აქტივები	28
9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	28
10. საწესდებო კაპიტალი	28
11. ნასესხები სახსრები	30
12. სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	30
13. სხვა მიმდინარე ვალდებულებები	31
14. პირობითი ვალდებულებები	32
15. შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	32
16. გაყიდული საქონლის თვითღირებულება	32
17. სასაწყობო, ლოგისტიკური და დისტრიბუციის ხარჯები	32
18. რეალიზაციის და მარკეტინგის დანახარჯები	33
19. ზოგადი და ადმინისტრაციული დანახარჯები	33
20. სხვა საოპერაციო შემოსავალი	33
21. ფინანსური რისკის მართვა	38
22. სამართლიანი ღირებულებები	38
23. ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	39
24. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი	39
25. შემდგომი მოვლენები	39

ქვემოთ ხელმოწერა

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „დიპლომატ ჯორჯიას“ მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „დიპლომატ ჯორჯიას“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფას“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ას“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები „პროფესიონალი ბუღალტრებისთვის ეთიკის საერთაშორისო კოდექსის“ (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) („IESBA კოდექსი“) შესაბამისად და შესრულებული გვაქვს ამ მოთხოვნებით და IESBA კოდექსით გათვალისწინებული ჩვენი სხვა ეთიკური მოვალეობებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია ასახულია კომპანიის 2020 წლის მმართველობით ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაცია გულისხმობს კომპანიის 2020 წლის მმართველობით ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. კომპანიის 2020 წლის მმართველობითი ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი სავარაუდოდ გახდება წინამდებარე აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ქვემოთ მოხსენიებული

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება მთლიანად არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და მასთან დაკავშირებით ჩვენ არც ახლა და არც მომავალში გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ ჩვენს ანგარიშში.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ სხვა ინფორმაცია და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს აქვს თუ არა კომპანიას უნარი, რომ საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს სხვა რეალური ალტერნატივა.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის მეთვალყურეობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებს კლიენტების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ჩიკოზა ყიფიძე

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავეგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება საბაზისო გარიგებებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

ქაიკა ყიფიძე

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

ჩვენ მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვ საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

ანა კუსრაშვილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

25 თებერვალი, 2021 წ.

ჩვენ აჩვენებ

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(ათას ლარში)

		31 დეკემბერი, 2019 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.	გადაანგარიშებული (2.5 შენიშვნა)
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	18,803		21,580
არამატერიალური აქტივები	4	1,149		1,448
სხვა გრძელვადიანი აქტივები	5	457		827
სულ გრძელვადიანი აქტივები		20,409		23,855
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	6	20,633		25,130
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	7	39,336		41,669
სხვა მიმდინარე აქტივები	8	10,941		19,398
სასესხო მოთხოვნები		585		—
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	937		382
სულ მიმდინარე აქტივები		72,432		86,579
სულ აქტივები		92,841		110,434
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	10	1		1
გაუნაწილებელი მოგება		24,388		28,335
სულ საკუთარი კაპიტალი		24,389		28,336
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები	11	10,452		16,186
საიჯარო ვალდებულებების გრძელვადიანი ნაწილი		1,166		1,908
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		11,618		18,094
მიმდინარე ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები	11	38,062		36,922
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	12	13,155		23,858
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	13	5,617		3,224
სულ მიმდინარე ვალდებულებები		56,834		64,004
სულ ვალდებულებები		68,452		82,098
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		92,841		110,434

ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 25 თებერვალს:

თამარ კოვზირიძე
გენერალური დირექტორი

გაი თალ
ფინანსური დირექტორი

5-39 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ჩუკან ყიფილი

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	15	185,762	211,536
გაყიდული საქონლის თვითღირებულება საერთო მოგება	16	(137,801)	(159,907)
		<u>47,961</u>	<u>51,629</u>
სასაწყობო, ლოგისტიკური და დისტრიბუციის ხარჯები	17	(8,297)	(10,807)
რეალიზაციის და მარკეტინგის დანახარჯები	18	(18,493)	(19,771)
ზოგადი და ადმინისტრაციული დანახარჯები	19	(15,976)	(15,694)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	20	584	750
საოპერაციო მოგება		<u>5,779</u>	<u>6,107</u>
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი		97	38
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	11	(4,408)	(3,703)
წმინდა საკურსო ზარალი		(5,415)	(1,378)
(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		<u>(3,947)</u>	<u>1,064</u>
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის (ზარალი)/მოგება		<u>(3,947)</u>	<u>1,064</u>
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული (ზარალი)/შემოსავალი		<u><u>(3,947)</u></u>	<u><u>1,064</u></u>

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

(ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1	27,271	27,272
წმინდა მოგება	-	1,064	1,064
წლის სრული შემოსავალი	-	1,064	1,064
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1	28,335	28,336
წმინდა მოგება	-	(3,947)	(3,947)
წლის სრული შემოსავალი	-	(3,947)	(3,947)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1	24,388	24,389

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
საოპერაციო საქმიანობა (ზარალი)/მოგება მოგების გადასახადით დაბეგრამდე		(3,947)	1,064
კორექტირებები დასაბეგრი მოგების წმინდა ფულად ნაკადებთან შეჯერების მიზნით:			
ცვეთა და ამორტიზაცია	3, 4	6,042	6,014
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული შემოსულობა		(556)	(508)
წმინდა საკუროსო ზარალი		5,415	1,390
დაზიანებული და ვადაგასული საქონლის ჩამოწერა		1,366	310
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	11	4,408	3,703
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი		(97)	-
დარიცხული გამოუყენებელი შვებულებები		66	203
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	7	841	446
		<u>13,538</u>	<u>12,622</u>
ცვლილება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში		3,131	(8,907)
ცვლილება სავაჭრო დებიტორულ დავალიანებაში და სხვა მიმდინარე აქტივებში		9,949	(10,914)
ცვლილება სავაჭრო კრედიტორულ დავალიანებაში და სხვა მიმდინარე ვალდებულებებში		(8,934)	10,787
ცვლილება სხვა გრძელვადიან აქტივებში		370	370
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში		<u>4,516</u>	<u>(8,664)</u>
გადახდილი პროცენტი		(4,525)	(3,189)
მიღებული პროცენტი		97	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		<u>13,626</u>	<u>769</u>
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(2,434)	(9,866)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(27)	(58)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი		2,590	2,716
გაცემული სესხები		(585)	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		<u>(456)</u>	<u>(7,208)</u>
ფინანსური საქმიანობა			
აღებული სესხები	11	159,428	195,815
ნასესხები სახსრების დაფარვა	11	(168,612)	(190,475)
საიჯარო ვალდებულებების ძირითადი ნაწილი		(2,626)	-
(ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული) / ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		<u>(11,810)</u>	<u>5,340</u>
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(805)	(478)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)		<u>555</u>	<u>(1,577)</u>
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით	9	382	1,959
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით	9	<u>937</u>	<u>382</u>

5-39 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ჩიკაბა ყიფიძე

47

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერი

(ათას ლარში)

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „დიპლომატ ჯორჯია“ (შემდგომში – „კომპანია“), საიდენტიფიკაციო ნომერი 204557121, არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2008 წლის 17 ივნისს დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის: საქართველო, 0109, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ჩანტლადის ქ. I შეს. 10.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის კოსმეტიკური, საყოფაცხოვრებო და ჰიგიენური საშუალებების დისტრიბუცია და რეალიზაცია საბითუმო ვაჭრობის დამოუკიდებელი ქსელის მეშვეობით. კომპანია არის პროექტერ ენდ გეშლის (P&G) და ნესტლეს პროდუქტების ექსკლუზიური და ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში. P&G-ის და ნესტლეს პროდუქტების გარდა, კომპანია ასევე ახდენს სხვა საკვები და სასმელი პროდუქტების, მათ შორის ადგილობრივი ბრენდების, დისტრიბუციას.

კომპანიის უშუალო მშობელი კომპანია და მისი 100%-იანი წილის მფლობელი არის ისრაელში მდებარე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დიპლომატ დისტრიბუტორს“ (1968) (შემდგომში – „მშობელი კომპანია“). კომპანიის საბოლოო მშობელი კომპანია არის შპს „რამონ კოსმეტიკს (ჰოლდინგს)“ (შემდგომში – „საბოლოო მშობელი კომპანია“).

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ჯერ არ დამტკიცებულა მფლობელების მიერ. აქციონერებს შეუძლიათ ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილებების შეტანა გამოშვების შემდეგ.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. მომზადების საფუძველი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ზასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების აღრიცხვის წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც განხილულია სააღრიცხვო პოლიტიკაში ქვემოთ.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ათას ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვა რამეა მითითებული.

2.2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ა) შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება დროის იმ მომენტში, როდესაც საქონელზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს, როგორც წესი, საქონლის მიწოდებისთანავე. კომპანია მომხმარებლისთვის მიცემული პირობის ხასიათის შეფასებით განსაზღვრავს, ამ გარიგებებში პრინციპალია თუ აგენტი. კომპანია არის პრინციპალი და შემოსავალს ბრუტოს საფუძველზე აღრიცხავს, თუ ის აკონტროლებს დაპირებულ საქონელს მომხმარებლისთვის მის გადაცემამდე. კომპანიამ დაასკვნა, რომ შემოსავალთან დაკავშირებულ გარიგებებში პრინციპალის სახით გამოდის, ვინაიდან, როგორც წესი, საქონელს თვითონ აკონტროლებს მომხმარებლისთვის გადაცემამდე. კრედიტის სტანდარტული ვადა საქონლის მიწოდებიდან 14-65 დღეა.

ჩიკაგო ყიხტილი

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საქონლის აღიარება პროდუქციის გაყიდვასთან დაკავშირებით ხდება იმისდა მიხედვით, თუ რა ოდენობის ანაზღაურების მიღებას მოელის კომპანია ამ საქონლის სანაცვლოდ. საქონლის გაყიდვის გარიგების ფასის განსაზღვრისას კომპანია ითვალისწინებს ცვალებადი ანაზღაურების ეფექტს, დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტის არსებობას და მომხმარებლისთვის გადასახდელი თანხის ოდენობას (როგორცაა სავაჭრო ადგილის გადასახადი, მომხმარებლისთვის კომპანიის საქონლის მაღაზიის თაროებზე გამოფენისთვის გადახდილი თანხა), ასეთის არსებობის შემთხვევაში.

პროდუქციის კონსიგნაციით გაყიდვის დროს, შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი გადაეცემა საბოლოო მომხმარებელს, ან გარკვეული ვადის გასვლისას, რომლის განმავლობაშიც საცალო მოვაჭრეს შეუძლია გაუყიდავი საქონლის დაბრუნება.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, რომლის განმავლობაშიც გაიწია ეს მომსახურება. ფიქსირებული ფასის მქონე ხელშეკრულებების შემთხვევაში, შემოსავლის აღიარებისას მიეთითება, მთლიანი გასაწევი მომსახურების რა წილს შეადგენს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ფაქტობრივად გაწეული მომსახურება, ვინაიდან მომხმარებელი.

ერთდროულად იღებს და იყენებს სარგებელს. ეს განისაზღვრება ამოსავალი მონაცემების მეთოდების საფუძველზე, რომლებითაც ფასდება საწარმოს მიერ შესასრულებელი მოვალეობის პირობის სრულად დაკმაყოფილებისკენ გადადგმული ნაბიჯები. თუ ხელშეკრულება შეიცავს ერთზე მეტ შესასრულებელ მოვალეობას, გარიგების ფასი თითოეულ მოვალეობაზე ნაწილდება ინდივიდუალური სარეალიზაციო ფასების მიხედვით.

ცვალებადი ანაზღაურება

თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება ცვალებად თანხასაც შეიცავს, კომპანია გამოითვლის ანაზღაურების თანხას, რომლის მიღების უფლებაც ექნება მომხმარებლისთვის საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. ცვალებადი ანაზღაურება განისაზღვრება კონტრაქტის გაფორმებისას და შეზღუდულია, ვიდრე არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ შემოსავლის მნიშვნელოვანი შემობრუნება აღიარებული ერთობლივი შემოსავლის ოდენობით არ მოხდება, როდესაც შესაბამის ცვალებად ანაზღაურებასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობა საბოლოოდ აღმოიფხვრება. საქონლის გაყიდვის ზოგიერთი ხელშეკრულება მომხმარებელს ანიჭებს საქონლის დაბრუნების უფლებას და საბითუმო ფასდაკლებას. საქონლის დაბრუნების უფლება და საბითუმო ფასდაკლება წარმოშობს ცვალებად ანაზღაურებას.

დაბრუნების უფლება

გარკვეული ხელშეკრულებები მომხმარებელს უფლებას აძლევს, გარკვეული პერიოდის განმავლობაში უკან დააბრუნოს საქონელი. კომპანია მოსალოდნელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით აფასებს, რა საქონელი დაბრუნდება, რადგან ეს მეთოდი ყველაზე ზუსტად პროგნოზირებს ცვლადი ანაზღაურების ოდენობას, რომელსაც კომპანია მიიღებს. კომპანიის ვალდებულება, დაიბრუნოს ვადაგასული პროდუქტები, აღიარებულია ანაზღაურების სახით. თანხის დაბრუნების ვალდებულების აღიარება ხდება იმ საქონლის შემთხვევაში, რომელთა დაბრუნება მოსალოდნელია (ანუ თანხა არ არის ასახული გარიგების ფასში). დაბრუნების უფლების აქტივის (და გაყიდული საქონლის თვითღირებულებას შესაბამისი კორექტირებების) აღიარება ასევე ხდება მომხმარებლისგან საქონლის ამოღების უფლების შემთხვევაშიც. კომპანია მოელის, რომ დაბრუნების ვალდებულებები და დაბრუნების აქტივები არ არის არსებითი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის და ამიტომ არ შეუქმნია შესაბამისი რეზერვები.

ჩიკაბე ყიფიშვილი

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საბითუმო ფასდაკლება

კომპანია გარკვეულ მომხმარებლებს სთავაზობს რეტროსპექტულ საბითუმო ფასდაკლებებს, როდესაც პერიოდის განმავლობაში შესყიდული პროდუქციის რაოდენობა აღემატება ხელშეკრულებაში მითითებულ ზღვარს. ფასდაკლების ოდენობა გამოიქვითება მომხმარებლის მიერ გადასახდელი თანხებიდან. მოსალოდნელი სამომავლო ფასჩამოკლებების გამო ცვლადი ანაზღაურების შესაფასებლად კომპანია იყენებს ყველაზე უფრო სავარაუდო თანხის მეთოდს რამდენიმე ზღვრული მოცულობის მქონე ხელშეკრულებებისთვის და მოსალოდნელი ღირებულების მეთოდს ერთზე მეტი ზღვრული მოცულობის მქონე ხელშეკრულებებისთვის. იმ მეთოდის შერჩევა, რომელიც ყველაზე უკეთ მოახდენს ცვალებადი ანაზღაურების პროგნოზირებას, ძირითადად დამოკიდებულია ხელშეკრულებაში ზღვრული მოცულობების რაოდენობაზე. კომპანია შემდეგ ეყრდნობა ცვალებადი ანაზღაურების სავარაუდო შემზღუდველ ფაქტორებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს და აღიარებს თანხის დაბრუნების ვალდებულებას მოსალოდნელი სამომავლო ფასდაკლებებისთვის.

დაფინანსების კომპონენტები

კომპანიის მოლოდინით, მას არ ექნება ისეთი ხელშეკრულებები, რომელთა მიხედვითაც, დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემასა და მომხმარებლის მიერ გადახდას შორის ვადა აღემატება ერთ წელს. ამის შედეგად, კომპანია არ აკორექტირებს გარიგების ფასებს ფულის დროითი ღირებულების გასათვალისწინებლად.

სახელშეკრულებო ნაშთები

სავაჭრო დებიტორული დავალიანება

დებიტორული დავალიანება წარმოადგენს კომპანიის უფლებას უპირობო საზღაურის თანხაზე (ანუ მხოლოდ დროის გასვლაა აუცილებელი საზღაურის გადახდის თარიღის დადგომამდე).

სახელშეკრულებო ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულება არის მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების გაცემის ვალდებულება, რომლის ღირებულებაც კომპანიას მომხმარებლისგან მიღებული (ან მისაღები) აქვს. თუ მომხმარებელი ღირებულებას გადაიხდის კომპანიისგან საქონლის ან მომსახურების მიღებამდე, მაშინ ხდება სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება, როდესაც ხდება გადახდა ან წარმოშობა გადახდის ვალდებულება (რომელიც უფრო ადრე დგება). სახელშეკრულებო ვალდებულებების აღიარება ხდება შემოსავლად მაშინ, როდესაც კომპანია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

ივანე ყიფიძე

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ბ) გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადი

მოგების გადასახადით დაიბეგრება იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც იანგარიშება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება, როგორც სხვა გადასახადები სრული შემოსავლის ანგარიშგების ადმინისტრაციულ ხარჯებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი („დღგ“)

შემოსავალი, ხარჯები და აქტივები აღირიცხება ბრუნვიდან გადასახადის გამოკლებით, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- ▶ როდესაც შეუძლებელია ბრუნვიდან გადასახადის, რომლის ვალდებულებაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვისას წარმოიშობა, დაბრუნება საგადასახადო ორგანოებიდან, ამ შემთხვევაში ხდება ბრუნვიდან გადასახადის აღიარება აქტივის შესყიდვის ხარჯის ნაწილად ან ხარჯების მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- ▶ როდესაც დებიტორული და კრედიტორული დავალიანების აღრიცხული ოდენობა შეიცავს ბრუნვიდან გადასახადს.

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახადელი ან მათგან დასაბრუნებელი ბრუნვიდან გადასახადის წმინდა ოდენობა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა კრედიტორული დავალიანების ან სხვა დებიტორული დავალიანების მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშების დანერგვით. შესაბამისად, კომპანია ყველა გადასახადთან დაკავშირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე.

ქაჯან ყიფიძე

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გ) უცხოური ვალუტები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტაცაა.

გარიგებები და ნაშთები

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავდაპირველად აღირიცხება კომპანიის სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაციაც ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სპოტ გაცვლითი კურსებით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსით.

ფულადი მუხლების ანგარიშსწორების ან კონვერტაციის ოპერაციების შედეგად წარმოშობილი სხვაობები ასახულია მოგებაში ან ზარალში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი გარიგებების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა.

წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას შესაბამისი აქტივების, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარების დროს გამოყენებული სპოტ სავალუტო კურსის განსაზღვრისას ოპერაციის თარიღად ჩაითვლება ის თარიღი, რომლითაც კომპანია თავდაპირველად აღიარებს წინასწარი გადახდით მიღებულ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. თანხის არაერთი წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, კომპანიამ თანხის თითოეული წინასწარი გადახდისთვის ან მიღებისთვის ცალკე განსაზღვრავს ოპერაციის თარიღს.

დ) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცემა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ქიქნ ქიქნ

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი
შპს „დიპლომატ ჯორჯია“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)
2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

ე) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თვითღირებულებით აღირიცხება, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და/ა დაგროვილი გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ასეთი ხარჯები მოიცავს ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლისა და სესხით სარგებლობის ხარჯებს გრძელვადიანი სამშენებლო პროექტების შემთხვევაში, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია.

როდესაც ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის პერიოდული შეცვლა ხდება უცვლელი, კომპანია ასეთ ნაწილებს აღიარებს დამოუკიდებელ აქტივად კონკრეტული სასარგებლო გამოყენების ვადით და შესაბამისად არიცხავს ცვეთას. ანალოგიურად, როდესაც ტარდება ფართომასშტაბიანი ინსპექცია, მისი ხარჯის აღიარება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ოდენობაში ხდება, როგორც ჩანაცვლების ღირებულებისა, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯის აღიარება ხდება მათი დადგომისთანავე სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ცვეთა გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე შემდეგნაირად:

შენობები	5-35 წელი
საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	2-6 წელი
სატრანსპორტო საშუალებები და სხვა	3-7 წელი

აქტივებს ცვეთა ერიცხებათ მათი ექსპლუატაციაში მიღების თარიღიდან.

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

ხელმოწერა

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ვ) არამატერიალური აქტივები

ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება ყოველგვარი დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. კომპანიაში წარმოქმნილი არამატერიალური აქტივები, გარდა კაპიტალიზებული კვლევა-განვითარების ხარჯებისა, არ კაპიტალიზდება და დანახარჯები აისახება იმ პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, რომლის განმავლობაშიც ეს დანახარჯი გაიწია.

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს აქვს სასარგებლო გამოყენების განსაზღვრული ვადა და, ძირითადად, მოიცავს კაპიტალიზებულ კომპიუტერული პროგრამულ უზრუნველყოფას და ლიცენზიებს. შეზღუდული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზება ხდება ეკონომიკური მომსახურების ვადის პერიოდში და გაუფასურების ოდენობის დასადგენად გადაფასდება მაშინ, როდესაც რამე მიანიშნებს ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურებაზე. ამორტიზაციის პერიოდი და მეთოდი სასარგებლო გამოყენების განსაზღვრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივის შემთხვევაში მინიმუმ ყოველი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს გადაისინჯება. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება შესაბამისად ცვლის ამორტიზაციის პერიოდს ან მეთოდს და აღირიცხება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება.

კომპანიის კონტროლის ქვეშ მყოფ იდენტიფიცირებად და უნიკალურ პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება, როგორც არამატერიალური აქტივები, თუ მოსალოდნელია, რომ შემოდიან უზრუნველყოფის ეკონომიკური სარგებელი გადააჭარბებს ხარჯებს. კაპიტალიზებული ხარჯები მოიცავს პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების გუნდის დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს და შესაბამის ზედნაღებ ხარჯებს. ყველა სხვა ხარჯი, რომელიც კომპიუტერების პროგრამულ უზრუნველყოფას უკავშირდება, მაგ. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, აღირიცხება მათი გაწევის დროს.

შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში. კომპანიის არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა სამი წლიდან 10 წლამდეა.

არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს (ანუ მიმღების მიერ კონტროლის მოპოვების დღეს) ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

ქვემოთ

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ზ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულებაში შედის შესყიდვის ფასი, იმპორტის გადასახადი და დაუბრუნებელი გადასახადები, ასევე ტრანსპორტირების, ჩატვირთვა-გადმოტვირთვის და სხვა დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება საქონლის შეძენას. სასაქონლო-მატერიალური მარაგები აისახება გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის სავარაუდო ხარჯი.

თ) ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორისთვის – ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები

პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია მათი პირველადი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნესმოდელზე, რომლითაც ის ამ ფინანსურ აქტივებს მართავს. სავაჭრო დებიტორული დავალიანების გამოკლებით, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკული მიზანშეწონილობა გამოიყენა, კომპანია ფინანსურ აქტივს თავდაპირველად აღიარებს მისი სამართლიანი ღირებულებით და, თუ ფინანსური აქტივი არ არის აღიარებული სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, მას უმატებს გარიგების დანახარჯებს. სავაჭრო დებიტორული დავალიანება, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკული მიზანშეწონილობა გამოიყენა, ფასდება გარიგების ფასით ფასს 15-ის „შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ შესაბამისად.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირება და სრულდება ინსტრუმენტის დონეზე. ფინანსური აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს, კლასიფიცირდება და ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, განურჩევლად ბიზნესმოდელისა.

ქეთევან ყიფიანი

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს ის თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად. ამორტიზებული ღირებულებით კლასიფიცირებული და შეფასებული ფინანსური აქტივები ფლობილია ისეთი ბიზნესმოდელის ფარგლებში, რომლის მიზანაც არის ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით, ხოლო სამართლიანი ღირებულებით კლასიფიცირებული და შეფასებული ფინანსური აქტივები, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ფლობილია ისეთი ბიზნესმოდელის ფარგლებში, რომლის მიზანაც არის როგორც მისი ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღების, ისე გაყიდვის მიზნით.

ფინანსური აქტივების ისეთი ყიდვა-გაყიდვა, როდესაც საჭიროა აქტივების ჩაბარება ნორმატიული აქტებით ან ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკით (გარიგების სტანდარტული პროცედურა) გათვალისწინებულ ვადაში აღირიცხება გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანია იღებს აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულებას.

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ▶ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები);
- ▶ სხვა სრულ შემოსავალში ასახვით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სავალო ინსტრუმენტები);
- ▶ სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;
- ▶ მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

ეს კატეგორია კომპანიისთვის ყველაზე აქტუალურია. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა დაკმაყოფილებულია:

- ▶ ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ▶ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილზე დარიცხული პროცენტის გადახდას.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

კომპანიის ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებში შედის სავაჭრო დებიტორული დავალიანება, სხვა მიმდინარე აქტივებში ასახული სხვა ფინანსური მოთხოვნები, სასესხო მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.

ხელმოწერა

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივის (ან, სადაც შესაძლებელია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარება ძირითადად მაშინ წყდება, როდესაც:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების ვადა;
- ▶ კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. იმ შემთხვევაში, არ მომხდარა რისკებისა და სარგებლის, აქტივზე კონტროლის არც გადაცემა და არც შენარჩუნება, კომპანიის მიერ აქტივის აღიარება ხდება შემდგომი გამოყენების პირობით. ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება ისე, რომ ასახავდეს კომპანიის მიერ შენარჩუნებულ უფლებებსა და მოვალეობებს.

უწყვეტი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, ფასდება უმცირესით აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და იმ მაქსიმალური თანხას შორის, რომლის გადახდაც შესაძლოა კომპანიას დასჭირდეს.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეყრდნობა სხვაობას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და ყველა იმ ფულად ნაკადს შორის, რომელთა მიღებასაც კომპანია მოელის, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს მიახლოებული განაკვეთით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

სავაჭრო დებიტორული დავალიანებისთვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია, ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიამ შეადგინა ანარიცხების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულში მიღებულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

ქეთევან ყიფიანი

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საკრედიტო დაწესებულებებში განთავსებული თანხებისთვის (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, საბანკო ანაზრები) კომპანიამ გამოითვალა 12-თვიანი საკრედიტო ზარალი. 12-თვიანი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ის ნაწილი, რომელსაც განაპირობებს ფინანსურ ინსტრუმენტებზე დეფოლტის შემთხვევების შესაძლო დადგომა საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც აქტივის წარმოშობიდან საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, რეზერვი შეიქმნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით.

კომპანია ფინანსურ აქტივს გადაუხდელად მიიჩნევს, როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდები 360 დღით გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანია სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები

პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და გადასახდელი ანგარიშები, ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განკუთვნილია ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების შემთხვევაში, ამას ემატება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მხოლოდ სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების კატეგორიას მოიცავს, რაშიც შედის სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება და ნასესხები სახსრები.

შემდგომი შეფასება

თავდაპირველი აღიარების შემდეგ კომპანიის ფინანსური ვალდებულებები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის დროს, აგრეთვე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით დარიცხული ამორტიზაციის პროცესში.

ამორტიზებული ღირებულება გამოანგარიშებულია ნებისმიერი დისკონტის ან შესყიდვის პრემიის, აგრეთვე საზღაურების თუ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვთა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ნაწილში.

ბიკ-ს ყიბჯიძე

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე არსებითად განსხვავებული პირობების ან ისეთი მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობების საფუძველზე, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება განიხილება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და შემხვედრი მოთხოვნების ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივების რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის განზრახვა.

ი) ჯარა

ხელშეკრულების გაფორმების დროს კომპანია აფასებს, ხელშეკრულება წარმოადგენს ან შეიცავს თუ არა იჯარას. ანუ თუ ხელშეკრულება გულისხმობს გარკვეული პერიოდის განმავლობაში კონკრეტული აქტივის გაკონტროლების ან გამოყენების უფლებას ანაზღაურების სანაცვლოდ.

აქტივის გამოყენების უფლება

კომპანია იყენებს აღიარების და შეფასების ერთ მიდგომას ყველა იჯარისთვის, გარდა მოკლევადიანი იჯარებისა და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებისა. კომპანია აღიარებს საიჯარო გადასახადების გადახდის ვალდებულებას და აქტივის გამოყენების უფლებას, რომლებიც წარმოადგენს საბაზისო აქტივების გამოყენების უფლებას.

კომპანია აქტივის გამოყენების უფლებას აღიარებს იჯარის დაწყების თარიღისთვის (ანუ იმ თარიღით, როდესაც საბაზისო აქტივი ხელმისაწვდომია გამოსაყენებლად). აქტივის გამოყენების უფლება ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი და კორექტირდება საიჯარო ვალდებულებების ყოველი ხელახალი შეფასებისას. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს აღიარებული საიჯარო ვალდებულებების, გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯების და იჯარის დაწყების თარიღით ან თარიღამდე გადახდილი იჯარების თანხებს, რასაც აკლდება მიღებული საიჯარო შეღავათები. აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა წრფივი მეთოდით ერიცხება იჯარის ან სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადებიდან უფრო მოკლე ვადის განმავლობაში.

შენობა-ნაგებობები
საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი
სატრანსპორტო საშუალებები

5-35 წელი
2-6 წელი
3-7 წელი

თუ იჯარის ვადის ბოლოს საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება კომპანიას გადაეცემა, ან ხარჯი ასახავს შესყიდვის უფლების გამოყენებას, ცვეთა გამოითვლება აქტივის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის მეშვეობით.

აქტივის გამოყენების უფლება ასევე ექვემდებარება გაუფასურებას.

ჩიქოვბი ყიბიძე

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საიჯარო ვალდებულებები

იჯარის დაწყების თარიღისთვის კომპანია აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს, რომლებიც გამოითვლება, როგორც იჯარის ვადის განმავლობაში გადასახდელი თანხების დღევანდელი ღირებულება. საიჯარო გადასახადები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), შემცირებულს მისაღები საიჯარო შეღავათებით, ცვლად საიჯარო გადასახადებს, რომლებიც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე და თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით. საიჯარო გადასახადები ასევე შედგება შესყიდვის ოფციონის რეალიზაციის ფასისგან, რომლის კომპანიის მიერ რეალიზაციის გონივრული რწმენა არსებობს, და იჯარის შეწყვეტისთვის გადახდილი ჯარიმებისგან, თუ იჯარის ვადა ასახავს კომპანიის მიერ იჯარის შეწყვეტის ოფციონის რეალიზაციას. ცვლადი საიჯარო გადასახადები, რომლებიც არ არის მიბმული ინდექსზე ან განაკვეთზე, აღიარებულია იმ პერიოდის ხარჯად (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი გაიწევა სასაქონლო-მატერიალური მარაგების შესაქმნელად), რომლის განმავლობაშიც დგება გადახდის გამომწვევი მოვლენა ან პირობა.

საიჯარო გადასახადების დღევანდელი ღირებულების გამოსათვლელად კომპანია იყენებს თავის ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის დაწყების თარიღისთვის, რადგან საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი მკაფიოდ განსაზღვრული არ არის.

იჯარის დაწყების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულებების თანხა იზრდება, რათა ასახოს პროცენტის ზრდა და მცირდება იჯარის გადახდის შესაბამისად. ამასთან, საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ხელახლა ფასდება, თუ ხდება იჯარის ვადის მოდიფიკაცია ან ცვლილება, თუ იცვლება საიჯარო გადახდები (მაგ. ცვლილება სამომავლო გადახდებში მათი ოდენობის განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო), ან ცვლილება შედის საბაზისო აქტივის შესყიდვის ოფციონის შეფასებაში.

კომპანიის საიჯარო ვალდებულებები შესულია სხვა მიმდინარე ვალდებულებებში და საიჯარო ვალდებულების გრძელვადიან ნაწილში.

მოკლევადიანი იჯარები და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა

კომპანია იყენებს მოკლევადიანი იჯარის აღიარებისთვის დაშვებულ გამონაკლისებს თავისი სადისტრიბუციო მანქანების და საწყობების მოკლევადიანი იჯარებისთვის (ანუ იმ იჯარების შემთხვევაში, რომელთა ვადა, მაქსიმუმ, 12 თვეა იჯარის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და არ შეიცავს შესყიდვის უფლებას). ეს ეხება დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივებსაც.

სადისტრიბუციო მანქანების იჯარის აღიარებისთვის, რომლებიც დაბალი ღირებულების მქონედ ითვლება, დაშვებულია გამონაკლისი. მოკლევადიან იჯარებზე და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებზე საიჯარო გადასახადების აღიარება ხდება ხარჯად წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში.

ქიკიკი ყიჭიჭი

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანია, როგორც მეიჯარე

იჯარას, რომლის დროსაც კომპანია არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. იჯარიდან შემოსავალი აღირიცხება დარიცხვის წრფივი მეთოდით იჯარის ვადაზე და, თავისი საოპერაციო ხასიათის გამო, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება შემოსავლის ნაწილში. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მათი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე იმავე წესით, როგორც საიჯარო შემოსავლისა. პირობითი საიჯარო ქირის აღიარება ხდება შემოსავლის სახით იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მისი მიღება.

კ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი თარიღისთვის კომპანია აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ან როდესაც აქტივის წლიური შემოწმება საჭირო მისი გაუფასურების დასადგენად, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოღინება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდელი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვების ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით. თუ ასეთი გარიგებების განსაზღვრა ვერ ხერხდება, შეფასების სხვა შესაფერისი მეთოდი გამოიყენება. ეს გამოთვლები დასაბუთდება შეფასების კოეფიციენტებით, აქციათა კოტირებული ფასებით საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული კომპანიების შემთხვევაში და სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

კომპანია გაუფასურებას გამოითვლის დეტალური ბიუჯეტისა და პროგნოზირებული გაანგარიშების საფუძველზე, რომლებიც ინდივიდუალურად მზადდება კომპანიის ფულადი ნაკადების წარმომქმნელი თითოეული ერთეულისთვის, რომლისთვისაც გამოყოფილია ესა თუ ის აქტივი. ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები, ჩვეულებრივ, ხუთწლიან პერიოდს მოიცავს. უფრო ხანგრძლივი პერიოდისთვის გამოითვლება გრძელვადიანი ზრდის ტემპი, რომელიც გამოიყენება ხუთი წლის შემდგომი ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის.

უწყვეტი ოპერაციების გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგების, მათ შორის სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გაუფასურებული აქტივის ფუნქციის შესაბამის ხარჯის კატეგორიებში.

ბიუჯეტის და პროგნოზის

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ანგარიშგების ყოველი თარიღით ფასდება, არსებობს თუ არა იმის ნიშანი, რომ მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღმოფხვრილი ან შემცირებულია. თუ ამის ნიშნები მართლაც არსებობს, კომპანია აფასებს აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების შედეგად განცდილი უკვე აღიარებული ზარალის შებრუნება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განმსაზღვრელ დაშვებებში გარკვეული ცვლილებებია მომხდარი. შემობრუნების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს მის ანაზღაურებად ღირებულებას და ასევე არ უნდა გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთის გამოკლებით, წინა წლებში აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. ასეთი შემობრუნების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აქტივი აღრიცხულია გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც აღდგენა აღირიცხება, როგორც გადაფასებული ღირებულების ზრდა.

ლ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს ბანკში და სალაროში და მაქსიმუმ სამი თვის ვადის მოკლევადიან ანაზღაურებს, რომლებსაც აქვს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკი.

ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან და მოკლევადიანი დეპოზიტებისგან, ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად, დაუფარავი საბანკო ოვერდრაფტების გამოკლებით, ვინაიდან ისინი მიიჩნევა კომპანიის ნაღდი ფულის მართვის განუყოფელ ნაწილად.

მ) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ვალდებულებების მოცულობის მეტ-ნაკლები სიზუსტით შეფასება არის შესაძლებელი. თუ კომპანია მოელის ანარიცხების მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურებას, მაგალითად სადაზღვევო ხელშეკრულების საფუძველზე, ანაზღაურების აღიარება ხდება ცალკე აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ანაზღაურება გადაწყვეტილია. ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯები წარმოდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნებისმიერი ანაზღაურების გამოკლებით.

ნ) სამართლიანი ღირებულების შეფასება

საანგარიშგებო თარიღისთვის კომპანია გადააფასებს თავის ფინანსურ ინსტრუმენტებს. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება წარმოდგენილია 22-ე შენიშვნაში.

ქიკიკი ყიჩკი

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედეგა:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე; ან
- ▶ ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

ძირითადი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი კომპანიისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ თავიანთი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომლებისთვისაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება ისე, რომ მაქსიმალურად იყენებდეს საბაზრო ამოსავალ მონაცემებს და მინიმალურად – არასაბაზრო ამოსავალ მონაცემებს, რომლებიც, საერთო ჯამში, მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის:

- ▶ დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკოტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- ▶ დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- ▶ დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, კომპანიამ განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების, ასევე სამართლიანი ღირებულების ზემოაღნიშნულ იერარქიაში მათი დონის საფუძველზე.

ჩიკაბაძე ნიკოლოზ

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.3. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და მათი ინტერპრეტაცია

ქვემოთ ჩამოთვლილ სტანდარტებს/ინტერპრეტაციებს, რომლებიც 2020 წლის 1 იანვრისთვის შევიდა ძალაში, გავლენა არ მოუხდენია ფინანსურ მდგომარეობაზე ან საქმიანობის შედეგებზე:

- ▶ ცვლილებები ფასს 3-ში: „საწარმოს განმარტება“;
- ▶ ცვლილებები ფასს (IFRS) 7-ში, ფასს (IFRS) 9-ში და ბასს (IAS) 39-ში „საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთის შესწორება“;
- ▶ ცვლილებები ბასს (IAS) 1-სა და ბასს (IAS) 8-ში: „ტერმინ „არსებითის“ განმარტება“;
- ▶ ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები, გამოშვებული 2018 წლის 29 მარტს;
- ▶ ცვლილებები ფასს (IFRS) 16-ში „კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა“.

კომპანიას ვადაზე ადრე არ მიუღია ისეთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული.

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ, კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის, ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ სტანდარტების მიღებას შეძლებისდაგვარად აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე:

- ▶ ფასს (IFRS) 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“;
- ▶ ცვლილებები ბასს 1-ში: ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად;
- ▶ „კონცეპტუალური საფუძვლების მითითება“ – შესწორებები ფასს (IFRS) 3-ში;
- ▶ ძირითადი საშუალებები: შემოსავალი დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე – ბასს 16-ის შესწორებები;
- ▶ „წამგებიანი კონტრაქტები – კონტრაქტის შესრულების ხარჯები“ – შესწორებები ბასს (IAS) 37-ში;
- ▶ ფასს (IFRS) 1 „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“ – შვილობილი საწარმო, როგორც საწარმო, რომელიც პირველად იყენებს ფასს-ს;
- ▶ ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ – ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის „10 პროცენტის“ ტესტში მოყვანილი საკომისიოები;
- ▶ ბასს (IAS) 41 – „სოფლის მეურნეობა“ – გადასახადით დაბეგვრა სამართლიანი ღირებულების შეფასებებში.

ამ ცვლილებებს, სავარაუდოდ, არ ექნება მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ქიქიძე ყ.ბ.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და ასევე პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში.

ქვემოთ მოცემულია გადაწყვეტილებები, რომლებსაც აქვს ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა ამ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და შეფასებები, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს მომდევნო ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება:

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა, რომელიც საჭიროებს სათანადო მეთოდოლოგიის, მოდელების და ამოსავალი მონაცემების შერჩევას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მეთოდოლოგია დაწვრილებით არის განხილული მე-7 და 21-ე შენიშვნებში. კომპანია რეგულარულად ახდენს მოდელების და მათი ამოსავალი მონაცემების გადახედვას და დამტკიცებას, რათა შეამციროს სხვაობა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის პროგნოზსა და ფაქტობრივად განცდილ საკრედიტო ზარალს შორის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას კომპანია ეყრდნობა დასაბუთებად საპროგნოზო ინფორმაციას, ძირითადად, თავისი მაკროეკონომიკური პროგნოზირების მოდელების შედეგს. ყველაზე მნიშვნელოვანი საპროგნოზო დაშვებები, რომლებიც კორელაციაშია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების დონესთან და მათთვის მინიჭებულ წონებთან, არის სავალუტო კურსები და სამომხმარებლო ფასების ინდექსები.

დაბრუნებისთვის ცვალებადი ანაზღაურების შეფასება

კომპანია აფასებს ცვალებად ანაზღაურებას, რომელიც აისახება უკან დაბრუნების უფლებით და საბითუმო ფასდაკლების პირობით საქონლის გაყიდვის გარიგების ფასში.

კომპანიამ შეიმუშავა სტატისტიკური მოდელი გაყიდული საქონლის დაბრუნების პროგნოზირებისთვის. მოდელი საქონლის დაბრუნების ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით განსაზღვრავს მოსალოდნელი დაბრუნების პროცენტულობას. ეს პროცენტები შემდეგ გამოიყენება მოსალოდნელი ცვალებადი ანაზღაურების ოდენობის დასადგენად. თუ ამჟამინდელი გამოცდილება მნიშვნელოვნად განსხვავდება საქონლის დაბრუნების ისტორიული მაჩვენებლებისგან, ეს გავლენას მოახდენს კომპანიის მიერ პროგნოზირებულ დაბრუნების პროცენტულ მაჩვენებლებზე.

კომპანია მოსალოდნელი დაბრუნების და საბითუმო ფასდაკლებების შეფასებას განაახლებს კვარტალურად და შესაბამისად აკორექტირებს დაბრუნებასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

მოსალოდნელი დაბრუნების შეფასება მგრძნობიარეა გარემოებების ცვლილებისადმი და კომპანიის წარსული გამოცდილება შეიძლება არ ასახავდეს მომავალში მომხმარებლების ფაქტობრივ დაბრუნებებს და მათთვის შეთავაზებულ ფასდაკლებებს. ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქონლის მოსალოდნელი დაბრუნებისთვის თანხის ანაზღაურების ვალდებულება არ იყო არსებითი.

ჩიუან ყიშქიუ

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

სასაქონლო-მატერიალური მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის აფასებს, არსებობს თუ არა სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების ობიექტური ნიშნები. ასეთი ობიექტური მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და დანაკარგის თანხა აისახება მიმდინარე პერიოდის ხარჯებში.

2.5. წინა წლის ნაშთების რეკლასიფიკაცია

2020 წლის განმავლობაში კომპანიამ გადასინჯა გარკვეული ანგარიშების წარმოდგენა თავის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. შედარებადი ფინანსური მონაცემების წარდგენა დაკორექტირდა მიმდინარე თანხების წარდგენასთან შესაბამისობაში მოსაყვანად:

- ▶ მომხმარებლებისთვის უფრო სარწმუნო და აქტუალური ინფორმაციის წარსადგენად, 2020 წელს კომპანიამ დაიწყო სხვა კრედიტორული დავალიანების წარმოდგენა სხვა მიმდინარე ვალდებულებების სახით, ხოლო სხვა დებიტორული დავალიანებისა – სხვა მიმდინარე აქტივების სახით.
- ▶ 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს კომპანიამ განსაზღვრა, რომ საიჯარო ვალდებულების გრძელვადიანი ნაწილი ასახული იყო სხვა მიმდინარე ვალდებულებებში. ეს შეცდომა გასწორდა 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის შედარებადი ინფორმაციის რეკლასიფიკაციით:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	რეკლასიფი- კაციამდე	რეკლასიფიკაცია	რეკლასიფიკაციის შემდეგ
სხვა კრედიტორული დავალიანება	5,132	(5,132)	–
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	–	3,224	3,224
საიჯარო ვალდებულებების გრძელვადიანი ნაწილი	–	1,908	1,908
სულ ვალდებულებები	82,098	–	82,098
სხვა დებიტორული დავალიანება	10,941	(10,941)	–
სხვა მიმდინარე აქტივები	–	10,941	10,941
სულ აქტივები	110,434	–	110,434

ქიკა ყიფიძე

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

3. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა- ნაგებობები	საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	აქტივის გამოყენების უფლება	სულ
თვითღირებულება					
2019 წლის 1 იანვრის					
მდგომარეობით	11,565	6,884	14,616	180	33,245
შემოსვლები	107	1,619	4,153	3,799	9,678
გასვლები	–	(33)	(5,233)	(186)	(5,452)
2019 წლის 31 დეკემბრის					
მდგომარეობით	11,672	8,470	13,536	3,793	37,471
შემოსვლები	310	1,010	1,114	2,875	5,309
გასვლები	–	(67)	(4,500)	(481)	(5,048)
2020 წლის 31 დეკემბრის					
მდგომარეობით	11,982	9,413	10,150	6,187	37,732
დაგროვილი ცვეთა					
2019 წლის 1 იანვრის					
მდგომარეობით	(3,212)	(3,806)	(6,446)	–	(13,464)
ცვეთის დანარიცხი	(542)	(1,932)	(2,618)	(588)	(5,680)
გასვლები	–	43	3,150	60	3,253
2019 წლის 31 დეკემბრის					
მდგომარეობით	(3,754)	(5,695)	(5,914)	(528)	(15,891)
ცვეთის დანარიცხი	(550)	(1,548)	(1,370)	(2,248)	(5,716)
გასვლები	–	21	2,512	145	2,678
2020 წლის 31 დეკემბრის					
მდგომარეობით	(4,304)	(7,222)	(4,772)	(2,631)	(18,929)
საბალანსო ღირებულება					
2019 წლის 31 დეკემბრის					
მდგომარეობით	7,918	2,775	7,622	3,265	21,580
2020 წლის 31 დეკემბრის					
მდგომარეობით	7,678	2,191	5,378	3,556	18,803

სრულად გაცვეთილი, მაგრამ ჯერ კიდევ ექსპლუატაციაში მყოფი ძირითადი საშუალებების მთლიანი საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის იყო 6,620 ლარი (2019 წ.: 4,033 ლარი).

აქტივის გამოყენების უფლება, ძირითადად, წარმოადგენს იჯარით აღებულ სატრანსპორტო საშუალებებს.

ქვემოთ მოცემულია მოგებაში ან ზარალში აღიარებული ცვეთის ოდენობა:

	31 დეკემბერი, 2020 წ.	31 დეკემბერი, 2019 წ.
ასახული სასაწყობო, ლოგისტიკურ და დისტრიბუციის ხარჯებში (მე-17 შენიშვნა)	1,346	900
ასახული რეალიზაციის და მარკეტინგის დანახარჯებში (მე-18 შენიშვნა)	2,954	3,237
ასახული ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში (მე-19 შენიშვნა)	1,416	1,543
სულ ცვეთის ხარჯი	5,716	5,680

ლიკა ყიფიძე

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

4. არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა და შესაბამისი ლიცენზიები		
	სხვა	სულ	
თვითღირებულება			
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	3,157	82	3,239
შემოსულები	59	–	59
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,216	82	3,298
შემოსულები	27	–	27
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,243	82	3,325
დაგროვილი ამორტიზაცია			
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(1,464)	(50)	(1,514)
ამორტიზაციის დანარიცხი	(312)	(24)	(336)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(1,776)	(74)	(1,850)
ამორტიზაციის დანარიცხი	(320)	(6)	(326)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(2,096)	(80)	(2,176)
საბალანსო ღირებულება			
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,440	8	1,448
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,147	2	1,149

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია შესულია ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში (მე-19 შენიშვნა).

5. სხვა გრძელვადიანი აქტივები

სხვა გრძელვადიანი აქტივებში შედის დღგ-ის ჩასათვლედი თანხა, რომელიც უკავშირდება ძირითადი საშუალებების შეძენაზე გადახდილ გადავადებულ დღგ-ს, რომლის დაბრუნებაც ერთ წელზე მეტ ვადაშია შესაძლებელი. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, საწარმოებს, რომელთა საერთო ბრუნვის 20 პროცენტზე მეტია დღგ-ისგან გათავისუფლებული (მაგ. შემოსავალი გაყიდვებიდან), შენობების შეძენასთან დაკავშირებული დღგ-ის ჩასათვლედი თანხის მიღება მომდევნო 10 წლის, ხოლო და ძირითადი საშუალებების სხვა ობიექტების შეძენასთან დაკავშირებული დღგ-ის ჩასათვლედი თანხის მიღება – ხუთი წლის განმავლობაში შეუძლიათ.

2019 წლამდე კომპანიის დღგ-ისგან გათავისუფლებული ბრუნვა ყოველთვის აღემატებოდა მთლიანი ბრუნვის 20%-ს, ამრიგად 2019 წლამდე შეძენილი ძირითადი საშუალებების ობიექტებთან დაკავშირებული დღგ-ის ჩასათვლედი თანხა ასახულია გრძელვადიან აქტივებში. დღგ-ის მიმდინარე ნაწილი, რომელიც 2021 წელს ექვემდებარება დაბრუნებას, ასახულია სხვა მიმდინარე აქტივებში (მე-8 შენიშვნა).

2019 წლის შემდეგ კომპანიის დღგ-ისგან გათავისუფლებულმა ბრუნვამ მთლიანი ბრუნვის 20%-ზე ნაკლები შეადგინა და კომპანია ძირითად საშუალებებთან დაკავშირებული დღგ-ის ჩასათვლედი თანხის 100%-ს იბრუნებს მიმდინარე პერიოდებში, 2020 წლისა და 2019 წლის განმავლობაში.

ჩიკაბა ყიფილი

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი, 2020 წ.	31 დეკემბერი, 2019 წ.
გასაყიდად გამოჩნული მარაგები	20,432	24,583
მარაგები გზაში	187	540
სხვა მარაგები	14	7
სასაქონლო-მატერიალური მარაგები, სულ	20,633	25,130

სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება, რომელიც აღიარებულია ხარჯად და ასახულია გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში, 137,801 ლარს შეადგენდა (2019 წ.: 159,907 ლარი).

სასაქონლო-მატერიალური მარაგების საბალანსო ღირებულება, რომელიც გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით არის აღრიცხული, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 20,633 ლარს შეადგენს (2019 წლის 31 დეკემბერი: 25,130 ლარი).

7. სავაჭრო დებიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი, 2020 წ.	31 დეკემბერი, 2019 წ.
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	41,276	42,768
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(1,940)	(1,099)
სულ სავაჭრო დებიტორული დავალიანება	39,336	41,669

სავაჭრო დებიტორული დავალიანება უპროცენტოა და, როგორც წესი, 14-დან 65 დღემდე დაფარვის პირობით.

ქვემოთ მოცემულია სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის მოძრაობა:

	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	653
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი (მე-19 შენიშვნა)	446
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,099
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი (მე-19 შენიშვნა)	841
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,940

ქვემოთ მოცემულია სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის მოძრაობა:

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

7. სავაჭრო დებიტორული დავალიანება (გაგრძელება)

2020 წლის 31 დეკემბრისთვის სავაჭრო დებიტორულ დავალიანებასა და სხვა მიმდინარე აქტივებში შესული ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზი ასე გამოიყურება:

	საერთო საბალანსო ღირებულება	ზარალის დონე	საკრედიტო ზარალის რეზერვი
სავაჭრო დებიტორული დავალიანება:			
ა) სავაჭრო დებიტორული დავალიანების დაზღვეული ნაშთები	26,750	0.00%	–
ბ) სავაჭრო დებიტორული დავალიანების დაუზღვეველი ნაშთები			
მსხვილი მომხმარებლების და დიდი ქსელების მიმდინარე ნაშთები	6,900	1.00%	69
მსხვილი მომხმარებლები და დიდი ქსელები 30-ზე ნაკლები დღით ვადაგადაცილებული დავალიანებით	256	1.00%	3
მსხვილი მომხმარებლები 360-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული დავალიანებით	406	100.00%	406
სხვა მომხმარებლები:			
- მიმდინარე	5,000	0.56%	28
- 30 დღემდე ვადაგადაცილებული	192	5.61%	11
- 30-დან 60 დღემდე ვადაგადაცილებული	40	17.50%	7
- 60-დან 90 დღემდე ვადაგადაცილებული	40	35.85%	14
- 120-დან 90 დღემდე ვადაგადაცილებული	54	43.83%	24
- 120 დღეზე მეტით ვადაგადაცილებული	1,638	84.11%	1,378
მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული სავაჭრო დებიტორული დავალიანება, სულ (საბალანსო ღირებულება)	41,276		1,940

2019 წლის 31 დეკემბრისთვის სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებაში შესული ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზი ასე გამოიყურება:

	საერთო საბალანსო ღირებულება	ზარალის დონე	საკრედიტო ზარალის რეზერვი
სავაჭრო დებიტორული დავალიანება:			
ა) სავაჭრო დებიტორული დავალიანების დაზღვეული ნაშთები	25,336	0.00%	–
ბ) სავაჭრო დებიტორული დავალიანების დაუზღვეველი ნაშთები			
მსხვილი მომხმარებლების და დიდი ქსელების მიმდინარე ნაშთები	4,751	1.00%	48
მსხვილი მომხმარებლები და დიდი ქსელები 30-ზე ნაკლები დღით ვადაგადაცილებული დავალიანებით	301	1.00%	3
მსხვილი მომხმარებლები 360-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული დავალიანებით	411	88.25%	363
სხვა მომხმარებლები:			
- მიმდინარე	9,830	0.31%	30
- 30 დღემდე ვადაგადაცილებული	642	0.31%	2
- 30-დან 60 დღემდე ვადაგადაცილებული	98	1.93%	2
- 60-დან 90 დღემდე ვადაგადაცილებული	100	11.22%	11
- 120-დან 90 დღემდე ვადაგადაცილებული	72	30.24%	22
- 120 დღეზე მეტით ვადაგადაცილებული	1,227	50.38%	618
მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული სავაჭრო დებიტორული დავალიანება, სულ (საბალანსო ღირებულება)	42,768		1,099

ჩიკაგო უნივერსიტეტი

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

7. სავაჭრო დებიტორული დავალიანება (გაგრძელება)

კომპანია მომხმარებლებზე გასცემს საკრედიტო ლიმიტებს. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საკრედიტო ლიმიტის 26,806 ლარის (2019 წ.: 30,236 ლარი) ნაშთები დაზღვეულია შპს „ისრაელის საკრედიტო რისკების დაზღვევის კომპანიის“ (ICIC) მიერ. მშობელ კომპანიასთან გაფორმებული სადაზღვევო ხელშეკრულების მიხედვით, შპს „ისრაელის საკრედიტო რისკების დაზღვევის კომპანია“ კომპანიას აუნაზღაურებს დამზღვევი მომხმარებლის საკრედიტო ნაშთებს, თუ ისინი უიმედო გახდება.

8. სხვა მიმდინარე აქტივები

	31 დეკემბერი, 2020 წ.	31 დეკემბერი, 2019 წ.
სხვა ფინანსური მოთხოვნები	9,365	16,283
გადახდილი ავანსები	1,221	2,685
შეძენილი ძირითადი საშუალებების დღგ-ის ჩასათვლედი თანხა (მე-5 შენიშვნა)	355	430
სხვა მიმდინარე აქტივები, სულ	10,941	19,398

9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31 დეკემბერი, 2020 წ.	31 დეკემბერი, 2019 წ.
ბანკის მიმდინარე ანგარიში	937	378
ფულადი სახსრები გზაში	-	4
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სულ	937	382

10. საწესდებო კაპიტალი

2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 1 ლარით.

2020 და 2019 წლებში დივიდენდები არ გამოცხადებულა და არ გადახდილა.

11. ნასესხები სახსრები

	31 დეკემბერი, 2020 წ.	31 დეკემბერი, 2019 წ.
მშობელი კომპანიისგან მიღებული მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები (ა)	14,321	5,955
ქართული კომერციული ბანკებისგან მიღებული მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები (ბ)	23,741	30,967
სულ მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები	38,062	36,922

ჩიკაბა ყიფიძე

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

11. ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

	31 დეკემბერი, 2020 წ.	31 დეკემბერი, 2019 წ.
მშობელი კომპანიისგან მიღებული გრძელვადიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები (ა)	10,452	16,092
ქართული კომერციული ბანკებისგან მიღებული გრძელვადიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები (ბ)	-	94
სულ გრძელვადიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები	10,452	16,186

(ა) მშობელი კომპანიისგან მიღებული სესხები

კომპანია მშობელი კომპანიისგან სესხებს იღებს თავისი კაპიტალური და საოპერაციო დანახარჯების დასაფინანსებლად. მშობელი კომპანიისგან მიღებული სესხები გამოხატულია ევროში და მათი ვადა 2021 წლის მარტიდან 2024 წლის მარტამდე მერყეობს.

(ბ) ქართული კომერციული ბანკებისგან მიღებული სესხები

კომპანია ქართული კომერციული ბანკებისგან იღებს სესხებს თავისი საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად. 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წლებში ქართული კომერციული ბანკებისგან აღებული სესხები გამოხატული იყო ლარში. სესხები მოკლევადიანია და ერთ წელში უნდა დაიფაროს.

საბანკო სესხების უზრუნველსაყოფად გამოყენებული აქტივები მე-14 შენიშვნაშია განხილული.

კომპანიის სესხები წარმოდგენილია შემდეგ ვალუტებში:

	31 დეკემბერი, 2020 წ.	31 დეკემბერი, 2019 წ.
- ლარი	23,741	31,061
- ევრო	24,773	22,047
ნასესხები სახსრები, სულ	48,514	53,108

მიმდინარე ნასესხები სახსრების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

საკრედიტო ხაზების აუთვისებელი თანხა, რომელიც ახლო მომავალში ხელმისაწვდომი იქნება საოპერაციო საქმიანობისა და კაპიტალური დაბანდების ვალდებულებების დასაფარად, 2020 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 5,050 ლარს (2019 წ.: ნული).

წმინდა ყიზილ

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

11. ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

(ბ) ქართული კომერციული ბანკებისგან მიღებული სესხები (გაგრძელება)

ფინანსური საქმიანობით გამოწვეული ვალდებულებების შეჯერება

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსურ საქმიანობასთან ვალდებულებების ანალიზი და კომპანიის ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებების მოძრაობა თითოეულ წარმოდგენილ პერიოდში. ამ ვალდებულებების მუხლები ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ასახულია, როგორც ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:

	2020	2019
ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებები		
1 იანვრის მდგომარეობით	53,108	46,355
ნასესხები სახსრები	159,428	195,815
საპროცენტო ხარჯი	3,964	3,566
სესხის ძირითადი თანხის შენატანები	(168,612)	(190,475)
გადახდილი პროცენტი	(4,188)	(3,041)
წმინდა საკურსო ზარალი	4,814	888
ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებები		
31 დეკემბრის მდგომარეობით	48,514	53,108

12. სავაჭრო კრედიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი, 2020 წ.	31 დეკემბერი, 2019 წ.
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	10,938	20,042
დაკავშირებული მხარეებისთვის გადასახდელი თანხები (23-ე შენიშვნა)	2,217	3,816
სულ სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	13,155	23,858

13. სხვა მიმდინარე ვალდებულებები

	31 დეკემბერი, 2020 წ.	31 დეკემბერი, 2019 წ.
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების დარიცხული ხარჯი	2,584	1,511
საიჯარო ვალდებულება	2,043	1,353
სხვა საგადასახადო ვალდებულებები, მოგების გადასახადის გარდა	990	360
სხვა მიმდინარე ვალდებულებები, სულ	5,617	3,224

ქვემოთ წარმოდგენილია საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები და მათი მოძრაობა პერიოდის განმავლობაში:

	2020	2019
საიჯარო ვალდებულებები 1 იანვრის მდგომარეობით	3,261	-
შემოსვლები	2,907	3,673
საპროცენტო განაკვეთის გაზრდა	337	74
გადახდები	(2,963)	(401)
აღიარების შეწყვეტა ხელშეკრულების გაუქმების გამო	(333)	(85)
საიჯარო ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,209	3,261
მიმდინარე	2,043	1,353
გრძელვადიანი	1,166	1,908

თარგმანი

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

13. სხვა ვალდებულებები (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულია მოგებაში ან ზარალში აღიარებული თანხები:

	31 დეკემბერი, 2020 წ.	31 დეკემბერი, 2019 წ.
აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ანარიცხები	2,248	588
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	337	74
მოგებაში ან ზარალში აღიარებული მთლიანი თანხა	2,585	662

14. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა

საკმაოდ ხშირია საქართველოს და ისრაელის საგადასახადო და სატრანსფერო ფასწარმოქმნასთან დაკავშირებული კანონმდებლობის არაერთგვაროვანი განმარტება და ცვლილება. ხელმძღვანელობის მხრიდან იმის აღქმას, თუ როგორ მოქმედებს კანონმდებლობა კომპანიის გარიგებებსა და საქმიანობაზე, შეიძლება, არ დაეთანხმნენ შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კანონმდებლობისა და რეგულაციების მისეული აღქმა ადეკვატურია და რომ მას ადეკვატურად აქვს დეკლარირებული და აღრიცხული ყველა საგადასახადო რისკი.

დაგირავებული და შეზღუდული წვდომის აქტივები

კომპანიას ქართული კომერციული ბანკებისგან ნასესხები სახსრების უზრუნველსაყოფად შემდეგი აქტივები ჰქონდა გამოყენებული:

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2020 წ.	31 დეკემბერი, 2019 წ.
ძირითადი საშუალებები	6	10,221	11,323
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	7	20,633	25,130
სავაჭრო დებიტორული დავალიანება		39,336	41,669
სულ		70,190	78,122

გარემოსდაცვითი საკითხები

საქართველოში კანონმდებლობა გარემოს დაცვის დარგში ვითარდება, ხოლო სამართალგამოყენების ფორმები სამთავრობო ორგანოების მუდმივი გადასინჯვის საგანს წარმოადგენს. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოს დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად. როგორც კი წარმოიქმნება ვალდებულება, ხდება მისი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებულ წესებში ან კანონმდებლობაში ცვლილებების და ასევე სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სამართალგამოყენების არსებული კლიმატის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიას გარემოსათვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებით არა აქვს მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

ჩიკვაძე ყიზილაძე

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

15. შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

	2020	2019
- საყოფაცხოვრებო და თავის მოვლის საშუალებები	108,663	106,909
- საკვები და სასმელი პროდუქტები	77,099	104,627
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან, სულ	185,762	211,536

კომპანიამ აღიარა შემოსავლებთან დაკავშირებული შემდეგი სავაჭრო დებიტორული დავალიანება:

	2020	2019
სავაჭრო დებიტორული დავალიანება (მე-7 შენიშვნა)	39,336	41,669

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ აქვს სახელშეკრულებო ვალდებულებები.

16. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

	2020	2019
- საყოფაცხოვრებო და თავის მოვლის საშუალებები	80,584	83,806
- საკვები და სასმელი პროდუქტები	57,217	76,101
სულ გაყიდული საქონლის თვითღირებულება	137,801	159,907

17. სასაწყობო, ლოგისტიკური და დისტრიბუციის ხარჯები

	2020	2019
ხელფასები და ხელფასებთან დაკავშირებული ხარჯები	5,341	6,775
ცვთა	1,346	900
საწვავი, შეკეთება და ტექნიკური მომსახურება	774	1,469
შენახვისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები	309	473
სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურება	295	589
დაზღვევის ხარჯი	52	66
სხვა ხარჯები	180	535
სულ სასაწყობო, ლოგისტიკური და დისტრიბუციის ხარჯები	8,297	10,807

18. რეალიზაციის და მარკეტინგის დანახარჯები

	2020	2019
ხელფასები და ხელფასებთან დაკავშირებული ხარჯები	9,627	9,643
რეკლამა და გაყიდვების სტიმულირება	5,142	5,064
ცვთა	2,954	3,237
სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურება და შეკეთება, საწვავი	762	1,805
სხვა ხარჯები	8	22
სულ რეალიზაციის და მარკეტინგის დანახარჯები	18,493	19,771

ჩიკნე ყიზილ

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

19. ზოგადი და ადმინისტრაციული დანახარჯები

	2020	2019
ხელფასები და ხელფასებთან დაკავშირებული ხარჯები	5,081	4,446
მართვის გასამრჯელო, საინფორმაციო ტექნოლოგიის დანახარჯები	4,749	5,098
დაკავშირებული მხარეებისგან (23-ე შენიშვნა)	1,742	1,786
ცვეთა და ამორტიზაცია	841	446
სავარაუდო საკრედიტო ზარალის რეზერვი (მე-7 შენიშვნა)		
მოკლევადიან იჯარებთან, დაბალი ღირებულების მქონე აქტივების	627	686
იჯარებთან დაკავშირებული ხარჯები და კომუნალური ხარჯები	594	654
პროფესიული გასამრჯელო	217	493
სხვა საოპერაციო გადასახადები	215	217
მონაცემების დამუშავება და კომუნიკაცია	210	341
ოფისის ტექნიკურ-სამეურნეო მომსახურება და ადმინისტრირება	157	130
ბანკის საკომისიო	73	201
მგზავრობის ხარჯი	50	86
წარმომადგენლობითი ხარჯები	1,420	1,110
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები		
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები, სულ	15,976	15,694

კომპანიის აუდიტორის გასამრჯელო 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შეადგენს 311 ლარს (დღგ-ის გარეშე) (2019 წ.: 317 ლარი) და ასახულია პროფესიული მომსახურების გასამრჯელოში.

20. სხვა საოპერაციო შემოსავალი

	2020	2019
შემოსულობა ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	556	592
სადაზღვევო შემოსავალი	6	147
სხვა შემოსავალი	22	11
სხვა საოპერაციო შემოსავალი, სულ	584	750

21. ფინანსური რისკის მართვა

რისკის მართვის ფუნქციას კომპანიაში ეკისრება ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვა. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო (მათ შორის სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სხვა საფასო რისკებს), საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკებს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ფუნქცია არის რისკის ლიმიტების დადგენა და იმის უზრუნველყოფა, რომ დაუფარავი დავალიანება დადგენილ ლიმიტებს არ სცდებოდეს. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციები გამიზნულია შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორად ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

ქიკო ნიჭიშვილი

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

21. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მონაწილე მხარე ვერ შეძლებს მოვალეობის შესრულებას და ამით მეორე მხარეს ფინანსურ ზარალს მიაყენებს.

კომპანიას საკრედიტო რისკი აქვს თავისი საოპერაციო საქმიანობიდან (ძირითადად, სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მიმდინარე აქტივები) და ფინანსური საქმიანობიდან, ბანკებში განთავსებული მიმდინარე ანგარიშების ჩათვლით.

კომპანიის საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა ასახულია ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და შეადგენს 51,800 ლარს (2019 წ.: 61,449).

საკრედიტო რისკი კომპანიის ბიზნესისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რისკია, ამიტომ ხელმძღვანელობა ამ რისკის მართვას სიფრთხილით ეკიდება.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება

საკრედიტო რისკის შეფასება, მისი მართვის მიზნით, კომპლექსური პროცესია და გულისხმობს მოდელების გამოყენებას, ვინაიდან რისკი იცვლება საბაზრო პირობების, მოსალოდნელი ფულადი ნაკადების და დროის გასვლის შესაბამისად. აქტივების პორტფელის საკრედიტო რისკის შეფასება გულისხმობს დეფოლტების დადგომის ალბათობის, შესაბამისი ზარალიანობის კოეფიციენტების და კონტრაქტებს შორის დეფოლტის კორელაციების საფუძველიან განსაზღვრას.

გაუფასურების ანალიზი ტარდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ანარიცხების მატრიცის გამოყენებით, რომლითაც ფასდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. დარეზერვების ნორმები ეყრდნობა სხვადასხვა სეგმენტებად დაჯგუფებული, ზარალიანობის მსგავსი მაჩვენებლის მქონე, მომხმარებლებისთვის დადგენილ ვადაგადაცილებულ დღეებს. გაანგარიშება ასახავს საშუალო შეწონილ ალბათობას, ფულის დროით ღირებულებას და გონივრულ და დასაბუთებულ ინფორმაციას, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის არის ხელმისაწვდომი წარსულში მომხმარებლის მოვლენების, არსებული პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური ვითარების პროგნოზების შესახებ. ზოგადად, სავაჭრო დებიტორული დავალიანება ჩამოიწერება ერთ წელზე მეტი ხნით ვადაგადაცილების შემთხვევაში და იძულებითი აღსრულების ღონისძიებას არ ექვემდებარება.

კომპანია საკრედიტო რისკების დონეებს განსაზღვრავს ლიმიტების დაწესების გზით რისკის იმ მოცულობაზე, რომელიც მზადაა მიიღოს კონტრაქტებზე ან კონტრაქტების ჯგუფზე ან ცალკეულ გეოგრაფიულ არეალზე თუ დარგობრივ სეგმენტზე. საკრედიტო რისკის დონეზე დაწესებული ლიმიტები რეგულარულად მტკიცდება ხელმძღვანელობის მიერ. ამ რისკების მონიტორინგი, პროდუქტების და დარგის მიხედვით, ხდება სისტემატურად, ხოლო მათი გადახედვა ხდება ყოველწლიურად ან უფრო ხშირად.

საკრედიტო რისკის მოცულობის შესაფასებლად, სტრუქტურული ანალიზის საფუძველზე მზადდება რეგულარული ანგარიშები კლიენტის საქმიანობისა და ფინანსური შედეგების შესახებ. გაუარესებული კრედიტუნარიანობის მქონე მომხმარებლებთან ყოველგვარი მნიშვნელოვანი ურთიერთობა გადასამოწმებლად ეცნობება ხელმძღვანელობას. კომპანიის ხელმძღვანელობა ეცნობა კონტრაქტების ფინანსურ შედეგებს და ვადაგადაცილებულ ნაშთებს.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საკრედიტო ლიმიტის 26,806 ლარის (2019 წ.: 30,236 ლარი) ნაშთები დაზღვეულია შპს „ისრაელის საკრედიტო რისკების დაზღვევის კომპანიის“ (ICIC) მიერ. მშობელ კომპანიასთან გაფორმებული სადაზღვევო ხელშეკრულების მიხედვით, შპს „ისრაელის საკრედიტო რისკების დაზღვევის კომპანია“ კომპანიას აუნაზღაურებს დამზღვევი მომხმარებლის საკრედიტო ნაშთებს, თუ ისინი უიმედო გახდება.

ჩიკაგო

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

21. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

საკრედიტო რისკის კონცენტრაცია.

კომპანიას აქვს საკრედიტო რისკის კონცენტრაცია. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მთავარ მომხმარებლებში შედიოდა რვა კონტრაგენტი (2019 წლის 31 დეკემბერი: რვა კონტრაგენტი). ამ მომხმარებლების მთლიანი აგრეგირებული ნაშთი იყო 25,259 ლარი (2019 წ.: 22,836 ლარი), ანუ სავაჭრო დებიტორული დავალიანებისა და სხვა მიმდინარე აქტივების მთლიანი თანხის 52% (2019 წ.: 40%).

ნაღდი ფულის ნაშთი ბანკის მიმდინარე ანგარიშზე

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს ხელმისაწვდომი ფულადი სახსრების უდიდესი ნაწილის საქართველოს წამყვან ბანკებში განთავსებით. კომპანიის ხელმძღვანელობა მუდმივად აკონტროლებს იმ ბანკების სტატუსს, რომლებშიც ანაზრები აქვს განთავსებული.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკებს განაპირობებს ღია პოზიციები (ა) სავალუტო და (ბ) საპროცენტო განაკვეთების და ვალდებულებების, რომელთაგან ყველაზე მოქმედებს ბაზრის ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები. ხელმძღვანელობა აწესებს ლიმიტებს რისკის დასაშვებ მოცულობაზე, რისი მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ასეთი მიდგომა ვერ უზრუნველყოფს დანაკარგების აღმოფხვრას დაწესებული ლიმიტის ზევით ბაზარზე მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კრედიტზე სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება სავალუტო კურსის მერყეობის გამო. კომპანიის ძირითადი სავალუტო რისკები დგება იმ ფაქტის გამო, რომ კომპანიას სესხები აღებული აქვს ევროში და, ამასთან საქონლის და მომსახურების შესყიდვები უცხოურ ვალუტაში ხდება. სავალუტო რისკს ხელმძღვანელობა პერიოდულად აფასებს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია, რომელ ვალუტებში ჰქონდა კომპანიას რისკი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარში გამოხატულ ფულად აქტივებზე და ვალდებულებებზე:

	2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		
	ფინანსური აქტივები	ფინანსური ვალდებულებები	ნეტო პოზიცია
ევრო	31	25,000	(24,969)
აშშ დოლარი	27	2,961	(2,934)
თურქული ლირა	64	127	(63)
ლარი	49,515	37,056	12,459
სულ	49,637	65,144	(15,507)

ჩიკაბე ყაჩაოვ

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

21. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია, რომელ ვალუტებში ჰქონდა კომპანიას მნიშვნელოვანი რისკი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარში გამოხატულ ფულად აქტივებზე და ვალდებულებებზე:

	2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		
	ფინანსური აქტივები	ფინანსური ვალდებულებები	ნეტო პოზიცია
ევრო	7	22,895	(22,888)
აშშ დოლარი	6	4,414	(4,408)
რუსული რუბლი	-	140	(140)
ლარი	58,321	53,245	5,076
სულ	58,334	80,694	(22,360)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის შესაბამისი ერთეულების სამუშაო ვალუტასთან მიმართებით სავალუტო კურსის მოსალოდნელი ცვლილებების ეფექტი მოგება-ზარალზე და საკუთარ კაპიტალზე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ყველა სხვა ცვლადის უცვლელობის შემთხვევაში:

2020	სავალუტო კურსის პროცენტული ცვლილება		
	გამყარება	გაუფასურება	
ევრო	10.00%	(2,497)	2,497
აშშ დოლარი	10.00%	(293)	293
თურქული ლირა	10.00%	(6)	6

2019	სავალუტო კურსის პროცენტული ცვლილება		
	გამყარება	გაუფასურება	
ევრო	10.00%	(2,289)	2,289
აშშ დოლარი	10.00%	(441)	441
რუსული რუბლი	10.00%	(14)	(14)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია მოგება-ზარალის და საკუთარი კაპიტალის მგრძნობელობა საპროცენტო განაკვეთების გონივრულად მოსალოდნელი ცვლილებების მიმართ, რომლებსაც კომპანია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს იყენებს, თუ ყველა დანარჩენი ცვლადი მუდმივია: კომპანიის დასაბეგრ მოგებაზე ცვალებადი განაკვეთის მქონე ნასესხები სახსრები შემდეგ გავლენას ახდენს:

	საპროცენტო განაკვეთის ზრდა/შემცირება	ეფექტი დასაბეგრ მოგებაზე
2020	10%/(10%)	(2,332)/2,332
2019	10%/(10%)	(3,106)/3,106

ქეთევან ყიფიანი

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

21. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ საწარმოს გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება. კომპანია ხასიათდება ყოველდღიური მოთხოვნით ხელმისაწვდომ ფულადი სახსრების რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკვირდება ყოველთვიურ პროგნოზებს კომპანიის ფულად ნაკადებთან დაკავშირებით. კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს სტაბილური დაფინანსების ბაზა, რომელიც ძირითადად მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას და მიმდინარე საბანკო ოვერდრაფტებს.

ქვემოთ, ცხრილში მოყვანილია ვალდებულებები, რომლებიც გაანალიზებულია დარჩენილი სახელშეკრულებო ვადის მიხედვით. დაფარვის ვადების ცხრილში ასახული თანხები წარმოადგენს სახელშეკრულებო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს, რაც მოიცავს ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებულ მთლიან ვალდებულებებს (მომავალი ფინანსური ხარჯების გამოქვითვამდე). ამგვარი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ოდენობებისგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მითითებული თანხები ემყარება დისკონტირებული ფულადი ნაკადების მონაცემებს.

როდესაც კრედიტორული დავალიანების ოდენობა ფიქსირებული არ არის, გასამუდავებელი თანხის ოდენობა განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული პირობების შესაბამისად. გადახდა უცხოურ ვალუტაში გამოითვლება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის არსებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	სულ
ვალდებულებები					
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება (მე-12 შენიშვნა)	10,938	2,217	-	-	13,155
სხვა მიმდინარე ვალდებულებები (მე-13 შენიშვნა)	2,904	670	-	-	3,574
საიჯარო ვალდებულებები (მე-13 შენიშვნა)	65	643	1,583	1,166	3,457
ნასესხები სახსრები (მე-11 შენიშვნა)	1,793	4,261	35,327	14,870	56,251
სულ სამომავლო გადახდები, ძირითადი თანხისა და პროცენტის სამომავლო გადახდების ჩათვლით	15,700	7,791	36,910	16,036	76,437

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	სულ
ვალდებულებები					
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება (მე-12 შენიშვნა)	20,041	3,817	-	-	23,858
საიჯარო ვალდებულებები (მე-13 შენიშვნა)	811	253	758	1,906	3,728
სხვა მიმდინარე ვალდებულებები (მე-13 შენიშვნა)	1,871	-	-	-	1,871
ნასესხები სახსრები (მე-11 შენიშვნა)	1,921	1,544	34,332	17,646	55,443
სულ სამომავლო გადახდები, ძირითადი თანხისა და პროცენტის სამომავლო გადახდების ჩათვლით	24,644	5,614	35,090	19,552	84,900

ჩიკაბაძე

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

21. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს კაპიტალის საკმარისი ბაზის შენარჩუნებას, რომ დააყუდონ კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნები.

22. სამართლიანი ღირებულებები

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას:

- ▶ თუ ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები არის ლიკვიდური ან ხასიათდება ხანმოკლე (12 თვეზე ნაკლები) ვადით ან ფინანსურ ვალდებულებებს აქვს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, მიიჩნევა, რომ მათი საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.
- ▶ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების მქონე ნასესხები სახსრების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით ანალოგიური პირობების, საკრედიტო რისკის და ვადის მქონე სესხის მიმდინარე განაკვეთების გამოყენებით.

ყველა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულებებიც გაცხადებულია, სამართლიანი ღირებულებების იერარქიაში მე-3 დონით ფასდება, გარდა ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისა, რომლებიც 1-ლი დონით არის შეფასებული.

23. ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ ან საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. დაკავშირებულ მხარეების ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია იმ გარიგებების მთლიანი თანხა, რომლებიც დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა:

	31 დეკემბერი, 2020 წ.	31 დეკემბერი, 2019 წ.
მშობელი კომპანიისგან ნასესხები სახსრები (მე-11 შენიშვნა)	(24,773)	(22,047)
მშობელი კომპანიის გადასახდელი თანხები (მე-12 შენიშვნა)	(2,217)	(3,816)

Handwritten signature

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „დიპლომატ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ათას ლარში)

23. ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარეებთან შემოსავლისა და ხარჯის მუხლები ასე გამოიყურებოდა:

	31 დეკემბერი, 2020 წ.	31 დეკემბერი, 2019 წ.
მშობელი კომპანიისთვის მომსახურების მიყიდვა	33	105
მშობელი კომპანიისთვის გადასახდელი საპროცენტო ხარჯი	(1,111)	(1,011)
მშობელი კომპანიის მიერ მოწოდებული მართვისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურების ხარჯი (მე-19 შენიშვნა)	(4,749)	(5,098)

ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება

ხელმძღვანელობის ზედა რგოლში შედიან კომპანიის დირექტორთა საბჭოს წევრები. ქვემოთ წარმოდგენილია ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება:

	2020		2019	
	ხარჯი	დარიცხული ვალდებულება	ხარჯი	დარიცხული ვალდებულება
მოკლევადიანი სარგებელი:				
- ხელფასები	2,308	-	1,907	-
- მოკლევადიანი პრემიები	506	506	324	324
- ნატურის სახით გაცემული სარგებელი	605	-	297	-
სულ ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება	3,419	506	2,528	324

მოკლევადიანი პრემიების სრულად ანაზღაურება უნდა მოხდეს თორმეტ თვეში იმ პერიოდის ბოლოდან, რომლის განმავლობაშიც ხელმძღვანელობამ შესაბამისი მომსახურება გასწია.

24. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი

ქვემოთ მოცემულია მოგებაში ან ზარალში აღიარებული თანხები დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი:

	2020	2019
ასახული სასაწყობო, ლოგისტიკურ და დისტრიბუციის ხარჯებში (მე-17 შენიშვნა)	5,341	6,775
ასახული რეალიზაციის და მარკეტინგის დანახარჯებში (მე-18 შენიშვნა)	9,627	9,643
ასახული ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში (მე-19 შენიშვნა)	5,081	4,446
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი, სულ	20,049	20,864

25. შემდგომი მოვლენები

2021 წლის 10 იანვარს კომპანიის საბოლოო მშობელი კომპანიის იურიდიული სახელწოდება შეიცვალა და შპს „რამონ კოსმეტიკს ჰოლდინგის“ მაგივრად დაერქვა შპს „დიპლომატ ჰოლდინგის“.

ჩიკაძე ი.ბ.

სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის ნომერი

N210950303



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის თარიღი

03.09.2021 წ

სანოტარო მოქმედების
დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის
ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

თეა კიკუაშვილი

სანოტარო ბიუროს მისამართი

ქალაქი თბილისი, ლესელიძის ქ. #17

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

593235532

სანოტარო მოქმედების
ინდივიდუალური ნომერი

25749056897821



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას ოცდაერთი წლის სამ სექტემბერს მე, ნოტარიუსი თეა კიკუაშვილი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ლესელიძის ქ. 17-ში, ვადასტურებ თარჯიმანი ქეთევან ყანჩაშვილის (დაბ. 14.09.1982, რეგისტრირებული: ქ. თბილისი, მუხიანი, მე-4 ა მ/რ, კორპ.1, ბ.43, პირადი # 01003009915, ბაკალავრის დიპლომი AB 0001886 გაც. 2003 წელს თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ) ხელმოწერის ნამდვილობას. მე, ნოტარიუსმა გავაფრთხილე თარჯიმანი, რომ პასუხს აგებს თარგმანის სიზუსტეზე, რომელმაც დაადასტურა თარჯიმნობის გამომრიცხავი გარემოების არარსებობის შესახებ და რომ ჯეროვნად იცის ინგლისური ენა და უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს.

On the 03.09.2021 I, Tea Kikuashvili, the notary whose Notary Bureau is located at Tbilisi, 17, Leselidze Street, certify the authenticity of the signature of translator Ketevan Kanchashvili (born on 14.09.1982, personal number 01003009915, residing at: Mukhiani 4a micro district, Building 1, Apt. 43; Bachelor's diploma AB 0001886 issued in 2003 by Tbilisi Ilia Chavchavadze State University of Language and Culture). I warned the translator that she is responsible for the accuracy of the translation. She confirmed that she properly knows the English language and ensures accuracy of the translation.

გადახდილია 180-00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წ.) 31-ე მუხლისა, ასევე დღგ 32.40 ლარი თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა. ასევე სარეგისტრაციო მოსაკრებელი 2-00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წ.) 39-ე მუხლისა. ორი ეგზემპლარისთვის

Fee paid 180-00 GEL, according to the Article 31st, resolution #507 dated 29.12.2011 adopted by Georgian Government about the fees, the rules of payment and approving the service terms determined for the Notary Chamber of Georgia and for the fulfillment of notary activities, also VAT 32.40 GEL, according to Article 166th of Georgian Tax Code, also 2-00 GEL, according to the Article 39th resolution (dated 29.12.2011).

ნოტარიუსი

